დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ირინა დვალი
წევრები: თეონა ბერიკაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი მაია ქევხიშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი მზია მახაჭაშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი ზურაბ ურიადმყოფელი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი ინგა ხრიკაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი ლაშა სარალიძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი სოფიო თავაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი სერგო დურგლიშვილი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი ალექსანდრე ლაცაბიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი ნინო ვაშალომიძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200007839

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	თბილისი, ჩარგლის ქ. №24
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ჩარგლის ქ. №24
საფოსტო ინდექსი	0192
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელფოსტა	Tbilisi32@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0(032) 2612353 0(032)615961

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 23 0001019176; 22/08/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 3-4 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

№	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქ.თბილისი, ჩარგლის ქ. №24
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქ.თბილისი, ჩარგლის ქ. №24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქ.თბილისი, ჩარგლის ქ. №24

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 3-4 ოქტომბერს სსიპ ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლაში. პროცესში მონაწილეობა მიიღეს ზოგადი განათლების ექსპერტებმა და საგნობრივმა ექსპერტებმა. ვიზიტამდე შედგა დისტანციური შეხვედრა ჯგუფის ყველა წევრთან, როცა მონაწილეებმა ერთობლივად განიხილეს სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, ისაუბრეს საერთო მიდგომებზე. ვიზიტის პერიოდში განათლების ექსპერტებმა იმუშავეს კომპეტენციის შესაბამის დოკუმენტაციაზე და ადგილზე დაათვალიერეს სკოლა. საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტმა დაათვალიერა სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ადგილზე გაეცნო შესაბამისი საგნების დოკუმენტაციას, ესაუბრა მასწავლებლებს, ხოლო სხვა საგნობრივმა ექსპერტებმა ორივე დღის განმავლობაში დისტანციურად ჩაატარეს ინტერვიურება. საბოლოოდ ჩამოყალიბდა დასკვნა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა არაფორმალური განათლების წახალისებას. ტარდება არაფორმალური აქტივობები, რასაც ადასტურებს სკოლაში განხორციელებული პროექტები, კლუბები. მოსწავლეებს შექმნილი აქვთ სკოლის ინტერნეტგაზეთი ,,ნომერი 32“; ჩამოყალიბებულია კლუბები, სამოქალაქო განათლების მიმართულებით და შექმნილი აქვთ საქველმოქმედო ღონისძიებების განმახორციელებელი ჯგუფი-,,თანადგომა“. საინიციატივო ჯგუფის ჩართულობით ტარდება სასკოლო სპორტული ჩემპიონატები ფეხბურთში, ფრენბურთსა და მკლავჭიდში. ინტელექტუალური თამაშები სკოლის მასშტაბით ,,ტვინების ბრძოლა“, „რა სად როდის“.

სკოლაში შექმნილი კლუბებია: ,,მკითხველების კლუბი“, კლუბი „ნორჩი მზრუნველები“, ჟურნალისტური კლუბი „ჰერმესი 32“, კლუბი ,,მოქალაქის გზა", STEAM კლუბი.

სკოლა გარკვეული პერიოდულობით ატარებს სამ საგანში სარეიტინგო წერებს: ქართულსა და მათემატიკაში და მესამე საგანი ყოველწლიურად ცვალებადია. მოსწავლეთა ნაშრომები კოდირებულია. სკოლა რეიტინგული წერების მაჩვენებლებს იყენებს სწავლება-სწავლა პროცესის გასაუმჯობესებლად.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ■ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	■ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **1827**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1.ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი №3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად არ არის გათვლილი ინკლუზიაზე, რადგან სკოლაში მეორე სართულზე ასასვლელად და სპორტულ დარბაზში ჩასასვლელად არ არის მოწყობილი პანდუსები
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ უნდა წარმოადგინოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი №3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	სასურველია სკოლამ წარმოდგენილი დოკუმენტები: სკოლის შინაგანაწესი, დისციპლინური კომიტეტის დებულება და 2023 წლის 15 სექტემბრის №1/კ-65 ბრძანებით დამტკიცებული გასაჩივრების დეტალური პროცედურები, რომელშიც დისციპლინური კომიტეტის როლი და ფუნქცია არ იკითხება, ურთიერთშესაბამისობაში მოიყვანოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უნდა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია დაწყებითი საფეხურის **საზოგადოებრივი მეცნიერებების** შემავალ საგნობრივ კურიკულუმებში მოხდეს ყველა კლასში სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება.
ინდიკატორი №2.2.1.5.	სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება	სასურველია **„მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“** საგნობრივ მიმართულებაზე სკოლამ გააძლიეროს საგანთა შორის ინტეგრაცია, დაგეგმონ ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტები, ღონისძიებები.
ინდიკატორი №2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	სასურველია, მეთოდოლოგიაში კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურების დეტალურად გაწერა. აღნიშნულ დოკუმენტში მნიშვნელოვანია ჩანდეს, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებასა და მონიტორინგს? რა ინსტრუმენტებზე დაყრდნობით წარიმართება შეფასება და მონიტორინგი? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას - თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.
ინდიკატორი №2.1.2.1	**საბაზო საფეხური** შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნების სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემის სწავლებისას განახორციელონ ერთი მაინც კომპლექსური დავალება. სასურველია **საბაზო საფეხურის** საზოგადოებრივი მეცნიერებების შემავალ საგნობრივ კურიკულუმებში (გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა) მოხდეს ყველა კლასში სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება.
ინდიკატორი №2.1.2.4.	**დაწყებითი/საბაზო/საშუალო** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	მიზანშეწონილია: **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნებში მასწავლებლებმა შექმნან კურიკულუმებში შეტანილი თემების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **საბუნებისმეტყველო საგნების** კურიკულუმებში აღწერილი კონტექსტმაგალითების შესაბამისად შეიქმნას განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილი იქნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების სახით.
ინდიკატორი 2.2.1.4	**დაწყებითი/საბაზო/საშუალო** სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული	მიზანშეწონილია სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტში/ლაბორატორიაში ახალი, თანამედროვე რესურსის, კერძოდ: ფიზიკაში: მათემატიკური ქანქარა, ელექტრული წრედის შემადგენელი ელემენტები, გამტარები, გამზომი ხელსაწყოები: ამპერმეტრი, ვოლტმერი. ბიოოგიაში: ადამიანის ჩონჩხი და მისი ნაწილები. ქიმიაში: სინჯარები კოლბები, მარტივი ნივთიერებები, თერმომეტრი, სასწორი ნივთიერებების მასების გასაზომად.- შეძენასთან დაკავშირებით.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა თავისი არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. სკოლამ დასკვნის პროექტში წარდგენილი 1 ხარვეზი არ გაიზიარა. ამავე დროს, გაითვალისწინება ექსპერტთა მიერ 2 ხარვეზთან დაკავშირებული შენიშვნა და ამის საფუძველზე შეადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

1. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2019 წლის დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობების შესაბამისობის შესახებ. დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების უმეტესობა სკოლას შესრულებული აქვს. დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ვადები გასულია. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობების შესაბამისობის შესახებ საბოლოო დასკვნის მისაღებად სკოლამ განსაზღვრა 27.09.2024 წელი, ხოლო აღნიშნულის განსახორციელებლად შემდეგი აქტივობები: სახანძრო ინვენტარის შესყიდვა, საევაკუაციო მანათობლების შეძენა მონტაჟი, სხვენის ხის კონსტრუქციების დამუშავება, საევაკუაციო გეგმების მომზადება, ელექტროენერგიის გამანაწილებელი მოწყობილობების მონტაჟი, ცეცხლმაქრების დამუხტვა, წერილის გაგზავნა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთვის, წერილის გაგზავნა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთვის. ამდენად, ექსპერტებმა ინდიკატორი №3.4.1.1. შეაფასეს მეტწილად.

2. ვიზიტის დროს ჯერ მომზადებული და სკოლისთვის მოწოდებული არ იყო დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ გამოაგზავნა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის საინჟინრო დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა №24-ში მდებარე 32-ე საჯარო სკოლის შენობას მნიშვნელოვანი დაზიანებები არ აღენიშნება, მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექსპლოატაცია უსაფრთხოა. ამდენად, სკოლის შენობა უსაფრთხოა სასწავლო პროცესის წარსამართად. 3. ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის დირექციის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა გათვლილია ინკლუზიაზე და რომ პირველი სართული სრულად ადაპტირებულია: სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის ოთახი, რესურსოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი, კვების ბლოკი, სააქტო დარბაზი, ღია სივრცე მერხებით, დაფით, სკამებით და სასმელი წყლით. სკოლის პოზიციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პირველ სართულზე მართლაც განლაგებულია ის სივრცეები, რომლებიც ჩამოთვლილია წერილში, თუმცა, ამავე სართულზე არაა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და ასევე სპორტულ დარბაზში ჩასვლა შესაძლებელია კიბეებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებზეც არაა პანდუსები მოწყობილი. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სკოლაში ინკლუზიური გარემო არაა შესაბამისი ინდიკატორის მოთხოვნების, შესაბამისად, ინდიკატორი №3.5.1.3. არ არის დაკმაყოფილებული.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიაა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თაობის აღზრდა, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან ერთიანი ეროვნული ქსოვილის მშვიდობიანი გზით აღდგენაზე. სკოლა იღებს პასუხისმგებლობას მოსწავლის მრავალმხრივი უნარების განვითარებისთვის შექმნას ეროვნული, ევროპული, ტოლერანტული, სტერეოტიპებისაგან თავისუფალი, გენდერული პასუხიმგებლობისათვის დაბალანსებული გარემო. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებულ „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია, საზოგადოებას აღუზარდოს პასუხისმგებლობის მქონე, ქართველური და აფხაზური ენების ცოდნით აღჭურვილი მოქალაქეები, რომლებიც ტოლერანტობითა და მაღალი ღირსებით შეძლებენ ქვეყნის ერთიანი ქსოვილის მშვიდობიანი გზით აღდგენას.
3. სკოლის მისია და ხედვა შეიმუშავა სკოლაში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ: დირექციის წევრები, ადმინისტრაცია, ტექპერსონალი, პედაგოგთა კორპუსი, სკოლის თვითმმართველობის წარმომადგენლები, ისგ ჯგუფის წევრები, მშობლები, თემის წარმომადგენელი. ამდენად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია და ხედვა სასკოლო სასწავლო გეგმაში შედის. ხოლო სასკოლოს სასწავლო გეგმა შესათანხმებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოს, დასამტკიცებლად კი- პედსაბჭოს. შესაბამისად, უზრუნველყოფილია მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მხრიდან.
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია პორტალის-skolebi.emis.ge-ს სკოლის გვერდზე, სკოლის შენობაში კი - საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილზე. სკოლის სახელწოდება: სსიპ ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლა, რაც შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედსაბჭოს ოქმი
- დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფის სამუშაო მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით სტრატეგიული დაგეგმვის მექანიზმი, SWOT ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია, რომელიც განხილულია პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N5 სხდომაზე. დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N6 სხდომაზე. სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- ➢ ზრუნვა ფორმალური და არაფორმალური განათლების ხარისხის ამაღლებაზე- კლუბური მუშაობის განვითარება (ქართველური ენების შესწავლა-მეგრული, სვანური) აფხაზ ახალგაზრდებთან ინტეგრაციის მიზნით აფხაზური ენის, როგორც სახელმწიფო ენის შესწავლა; უცხოური ენის შემსწავლელი მრავალფეროვანი გარემო - ევროპული ენებისა და (იტალიური, ფრანგული) ჩინური ენის შეთავაზება არჩევით საგნად;
- ➢ პროფილური სწავლების აღდგენა საშუალო საფეხურზე;
- ➢ სკოლაში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;
- ➢ სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, აკადემიური მონაცემების გაუმჯობესება, ქცევის თვითმართვის რეგულირება (სწავლა-სწავლების 5 პრინციპი).
- ➢ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- ➢ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება; სკოლის აღჭურვა Wifi-სისტემით;
- ➢ მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზება; უსაფრთხო და დისციპლინირებული გარემოს შენარჩუნება/ განვითარება;
- ➢ დაწყებითი საფეხურისთვის სკოლის ეზოში ცალკე კორპუსის აშენება
- ➢ ღია სპორტული მოედნების მოწყობა, შენობის ეზოს, ფასადის რეაბილიტაცია, სარინელების მოწყობა;

3. სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N6 სხდომაზე;

4. სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, განსაზღვრავს აქტივობებს, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია 2024 წლის ივნისის ჩათვლით. სამოქმედო გეგმა მოიცავს ინფორმაციას განხორციელების ვადების, შეფასების ინდიკატორების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დირექტორის ბრძანებით იქმნება დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებაზე (სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ფასდება სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს. სტრატეგიული გეგმის შესრულება ფასდება 3 წელიწადში ერთხელ). სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების საფუძველზე.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ამდენად, კრიტერიუმის შესრულების დადასტურება კონკრეტული უკუკავშირის მაგალითზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ ყოფილა გამოთხოვილი.

3. სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები წარმოდგენილი არ არის (იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად არის ავტორიზაციის პროცესში), შესაბამისად, მისი საჯაროობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ, მონიტორინგის და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, დაგეგმილია მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურა განსაზღვრულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საჯარო სკოლის წესდებითა და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციებით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის N1/კ-75 ბრძანებით. საჯარო სკოლებისთვის დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით სკოლას ჰყავს დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიურ საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილება კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მის ეფექტურ ფუნქციონირებას.
2. როგორც აღინიშნა, სკოლის სტრუქტურა შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია პედაგოგიური საბჭოს, დირექტორის და სამეურვეო საბჭოს შორის სკოლის მართვის სფეროში ფუნქციების გათვალისწინებით. ამასთან, სკოლის საშტატო განრიგის შესაბამისად, სკოლაში დასაქმებულები არიან სხვა თანამშრომლებიც (სპეციალური მასწავლებლები და ა.შ.), რომელთა ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებშიც. სკოლაში ფუნქციების გადანაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის 2023 წლის 7 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს №6 ოქმით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტის დოკუმენტი. მასში ასახულია შემდეგი სახის ინფორმაცია: მასწავლებლის შერჩევის პროცედურები, კონკურსის გამოცხადება, კომისიის შექმნა, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, თანამშრომლის პირადი საქმე, სკოლის სტრუქტურა/სტრუქტურული ერთეულები. წახალისების შესახებ ინფორმაცია სკოლის შინაგანაწესშია გაწერილი.

2.სკოლა იცავს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება უზრუნველყოფილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის“ მუშაობით, რომელიც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, ინტერვენციული მართვის პოლიტიკის გატარებას. გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებში შესაბამისი პროცედურები და პასუხისმგებლობის სახეები, განსაზღვრულია წახალისების სისტემაც. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით რეგულირდება თანამშრომელთა შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები.

3. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მასწავლებლების პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ისინი აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლა, კადრების საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“. საჭიროების შემთხვევაში, იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში, სკოლის წარმომადგენლების გარდა, ჩართული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგნობრივი ექსპერტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საგნობრივი ექსპერტი, შესაბამისი რესურცენტრის წარმომადგენელი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წარმომადგენელი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ვებგვერდზე: https://teacherjobs.ge/ შესაბამისი ვადების დაცვით. კონკურსი ჩატარდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ობიექტურობის, გამჭვირვალობის, საჯარობის, კოლეგიალურობის და კორექტურობის პრინციპების დაცვით. კონკურსით შერჩეულ პირებთან სკოლის ადმინისტრაციამ გააფორმა შესაბამისი ხელშეკრულება, „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების“ და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. აღწერილი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ სამუშაოზე აყვანის დროს მათ წარმოადგინეს ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული „უფლების ჩამორთმევის შესახებ“

4. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის N1/კ-75 ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტში გაწერილია დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, ექიმის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, საინფორმაციო მენეჯერის, მატერიალური ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, ცეცხლფარეშის, დამლაგებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

5.სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიალური ორგანოები, მნიშვნელოვანი გადაწვეტილების გადაწყვეტის შემთხვევაში სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფები. მაგალითისათვის, სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავება უზრუნველყო სამუშაო ჯგუფმა.

6. სკოლაში მოქმედებს პერსონალის წახალისების სისტემა, რომლის შესახებ ჩანაწერი არის სკოლის შინაგანაწესში, განსაზღვრულია მატერიალური და არამატერიალური წახალისების სახეები. ამასთან, მასწავლებელთა ანგარიშებიდან იკვეთება წარმატებული გამოცდილების აღიარების პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა ანგარიშები;
- მასწავლებლების აყვანის მიზნით სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები და საკონკურსო კომისიის მუშაობის ამსახველი ოქმები;
- სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სწავლების ხარისხის მონიტორინგისა და მათი მუდმივი სრულყოფისთვის სკოლა უზრუნველყოფს აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებასა და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობას. სკოლას აქვს დირექტორის მიერ 2023 წლის 15 სექტემბრის №1/კ-64 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.
2. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენას და გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით - პროფესიული განვითარების გეგმის შედგენას. დოკუმენტში გაწერილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომელთა შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურები, მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით".

3. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ემსახურება სწავლების ხარისხის მონიტორინგს, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებასა და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობას.

4. სკოლის მიზანია, ხელი შეუწყოს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, ამ მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმა.

5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარება, განსაზღვრულია მატერიალური და არამატერიალური წახალისების სახეები. აღნიშნული გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის მექანიზმი
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის N1/კ-72 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმის შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია. ამავე ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილია ხარისხის ჯგუფის მიერ განხორციელებული საქმიანობა.
2. სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესებისა და მათი აღწერების შესახებ. დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N1/კ-60 ბრძანებით.
3. სკოლაში საჩივრების განხილვის საკითხებს არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი. საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებელია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საქმიანობს შინაგანაწესის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. დირექტორის მიერ 2023 წლის 18 სექტემბრის N1/კ-74 ბრძანებით არის დამტკიცებული დისციპლინური კომიტეტის დებულება, ხოლო გასაჩივრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დეტალური პროცედურები-2023 წლის 15 სექტემბრის №1/კ-65 ბრძანებით, რომელშიც დისციპლინური კომიტეტის როლი და ფუნქცია არ იკითხება.

რჩევა: სკოლამ წარმოდგენილი დოკუმენტები ურთიერთშესაბამისობაში მოიყვანოს.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებული საჩივრების განხილვის წესი და პროცედურა ემსახურება სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები;
- მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში დირექციასა და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია ეფექტურად ხორციელდება. როგორც წესი, სხვადასხვა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით იქმნება სამუშაო ჯგუფები. ასევე, სკოლის ადმინისტრაცია რეგულარულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აწვდის ინფორმაციას სკოლის მართვასთან დაკავშირებული პროცედურებისა და სიახლეების შესახებ სასკოლო საზოგადოებას და მათგან იღებს უკუკავშირს. ამის ერთ-ერთი მაგალითია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალები. ასევე მოქმედებს სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 18 სექტემბრის N1/კ-67 ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი.

2. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო და სამეურვეო საბჭო, რომლებიც კოლეგიალური ორგანოებია. შესაბამისად, უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა სკოლის მართვის ორგანოებში. სკოლაში ასევე შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ ბრძანებები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; ამ მიზნით სკოლის შენობა აღჭურვილია საევაკუაციო გეგმებით და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, საევაკუაციო გასასვლელების მანიშნებელი მანათობლებით, სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობილობა-საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობებით, დეტექტორებით სახანძრო სიგნალიზაციისა და შეტყობინების სისტემებით. სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხებულია აქვს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

პირველადი დახმარების გასაწევად, სკოლას ჰყავს მინისტრების ბრძანებით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პირი. სამედიცინო დახმარებისთვის გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01/23/ნ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა 2019 წლის დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობების შესაბამისობის შესახებ. დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების უმეტესობა სკოლას შესრულებული აქვს. ამავე დროს დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ვადები გასულია. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობების შესაბამისობის შესახებ საბოლოო დასკვნის მისაღებად სკოლამ განსაზღვრა 27.09.2024 წელი, ხოლო აღნიშნულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსახორციელებლად შემდეგი აქტივობები: სახანძრო ინვენტარის შესყიდვა, საევაკუაციო მანათობლების შეძენა მონტაჟი, სხვენის ხის კონსტრუქციების დამუშავება, საევაკუაციო გეგმების მომზადება, ელექტროენერგიის გამანაწილებელი მოწყობილობების მონტაჟი, ცეცხლმაქრების დამუხტვა, წერილის გაგზავნა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთვის, წერილის გაგზავნა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთვის ამდენად, სკოლის მდგომარეობა ინდიკატორის მოთხოვნებთან მეტწილ შესაბამისობაშია.

სკოლამ სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართა 2023 წლის 25 აგვისტოს, 4 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება. ვიზიტის დროს ჯერ მომზადებული და სკოლისთვის მოწოდებული არ იყო დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენიასას სკოლამ გამოაგზავნა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის საინჟინრო დასკვნას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა #24-ში მდებარე 32-ე საჯარო სკოლის შენობას მნიშვნელოვანი დაზიანებები არ აღენიშნება, მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექსპლოატაცია უსაფრთხოა. რჩევა: სკოლამ უნდა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადი წესით. სკოლას ემსახურება მანდატურის სამსახური. სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. სკოლას ჰყავს 24 საათის განმავლობაში დარაჯი. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქციაა დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემა.

3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, ამ მიზნით სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია და გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერალზე პასუხისმგებელი პირი.

4.სკოლას ჰყავს დამლაგებლები და თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილი არის მათი ფუნქცია-მოვალეობები, სკოლის სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით, ხელსახოცებით და თხევადი საპნით. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ანტიბაქტერული ხსნარის დისპენსერები. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შენობაში, ასევე სკოლის ეზოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.სკოლას დირექტორის მიერ 2023 წლის 18 სექტემბრის №1/კ-78 ბრძანებით აქვს შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლა იცავს პერსონალურ მონაცემებს, აღნიშნული გამოვლინდა დოკუმენტაციის შესწავლისას, კერძოდ, მშობლებთან და მასწავლებელთან დადებულ ხელშეკრულებებში.
6.სკოლას დამტკიცებული აქვს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის წესის და მონიტორინგის მექანიზმები 2023 წლის 18 სექრმბრს 1/კ-76 ბრძანებით.
1. სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მოთხოვნილი არ ყოფილა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, იგეგმება შესაბამისი გამოკითხვების წარმოება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები
- ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის წესის და მონიტორინგის მექანიზმები
- შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 26 სექტემბრის წერილი საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით
- დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის თაობაზე
- მშობლებთან და მასწავლებელთან დადებულ ხელშეკრულებები
- ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან.
- დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია
- დირექტორის ბრძანება ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერალზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს თბილისში, ჩარგლის ქუჩა №24-ში. საჯარო რეესტრის ამონაწერებით, შენობების მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო მოსარგებლე - სსიპ ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის სახელობის ქალაქ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისის №32 საჯარო სკოლა არსებობის ვადით. სკოლის მიწის ფართია 9818 კვ.მ., ხოლო შენობის ფართობი: 4148.98.კვ.მ. სკოლა ოთხსართულიანია.

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია 2 საცავი ოთახით, საკონფერენციო დარბაზი და ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, რომლებიც ხელმისაწვდომია სკოლის ნებისმიერი წევრისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკის მუშაობის წესები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე და მისი დაცვა ყველასათვის სავალდებულოა. ბიბლიოთეკასი დამუშავებულია წიგნადი ფონდი კანონმდებლობის შესაბამისად. სასკოლო ბიბლიოთეკაში წიგნები განთავსებულია კარადებში კატალოგის მიხედვით. ბიბილიოთეკაში არის ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერი და პრინტერ/ქსეროქსის აპარატი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

სკოლაში სამუშაო სივრცეები მოწყობილია სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისთვის: დირექციის წარმომადგენელთა ოთახები, სამასწავლებლო, რესურსოთახი, მანდატურის ოთახი, ექიმის ოთახი, კანცელარია. სკოლას შემუშავებული ჰქონდა კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესები.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის გათვლილი ინკლუზიაზე, რადგან სკოლაში სართულებზე გადაადგილებლად არ არის მოწყობილი პანდუსები. სკოლის შენობაში შესაძლებელია შესვლა იმ კარით, რომელიც მიწის სიმაღლეზეა. ასევე პირველ სართულზე 1 სველი წერტილი გათვლილია სსსმ პირზე.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლა აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება ექსპერტთა პოზიციას და რომ სკოლას აქვს პანდუსი და პირველი სართული სრულად ადაპტირებულია: სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის ოთახი, რესურს ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი, კვების ბლოკი,სააქტო დარბაზი , ღია სივრცე მერხებით,დაფით,სკამებით და სასმელი წყლით. სკოლის დასაბუთებულ პოზიციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სკოლაში პირველ სართულზე შესვლა მართლაც შესაძლებელია პანდუსით, ასევე პირველ სართულზე განლაგებულია ის, სივრცეები, რომლებიც ჩამოთვლილია წერილში, თუმცა, ამავე სართულზე არაა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და ასევე სპორტულ დარბაზში ჩასვლა შესაძლებელია კიბეებით, რომლებზეც არაა პანდუსები მოწყობილი. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სკოლაში ინკლუზიური გარემო არაა შესაბამისი ინდიკატორის მოთხოვნების.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა (რესურსოთახი, საკონფერენციო დარბაზი, სააქტო დარბაზი და სპორტული დარბაზები, გარე სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია) იძლევა შესაძლებლობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩატარდეს სასკოლო ღონისძიებები, მოეწყოს სხვადასხვა სკოლასთან (ორგანიზაციასთან) სასწავლო-შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებები, განხორციელდეს სასკოლო პროექტები, იმუშაოს სასკოლო კლუბებმა, ხელი შეეწყოს თანამშრომლობას, სოციო-კულტურულ სივრცედ სკოლის ჩამოყალიბებას. პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო - კულტურული სივრცის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ჩართულია სხვადასხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო პროგრამაში და წარმატებით საქმიანობს ამ მიმართულებით, განხორციელებული აქვთ სხვადასხვა პროექტი და აქტივობა.
სკოლის შენობაში, საკლასო ოთახებსა თუ დერეფნებში გამოფენილი იყოს მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც სკოლის მხრიდან მოსწავლეთა აღიარებაზე მეტყველებს

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმებით განსაზღვრული საჭირო რესურსები: სკოლის შენობაში 44 საკლასო ოთახია. საკლასო ოთახებში არის შესაბამისი სასკოლო ინვენტარი, ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური მერხები (სულ 1490 მერხი სკამით), კარადები, დაფები. ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორია აღჭურვილია აუცილებელი რესურსებით/აღჭურვილობით, კომპიუტერითა და პროექტორით. ლაბორატორიაში დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოების ზომები.

ბიბლიოთეკაში საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოებია, აღრიცხული და დამუშავებული საბიბლიოთეკო პრინციპით, წიგნების მიღება-ჩაბარების დოკუმენტები. საინვენტარო წიგნის მიხედვით, ბიბლიოთეკაში სულ 38198 წიგნია აღრიცხული. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი.

სკოლის ინვენტარიზაციის აქტით, სკოლის მფლობელობაშია ისტორიული და გეოგრაფიული რუკები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ინვენტარიზაციის ოქმი
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები, პრინტერი, პროექტორი. სკოლაში არის განათლებისა და მეცნიერების მიერ მიწოდებული ინტერნეტი, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტის მიღებას სკოლის მთელ ტერიტორიაზე. აღნიშნული ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. აღწერილი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სულ სკოლას შეძენილი აქვს 9 პროექტორი და 49 ნოუთბუქი.
2. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეების, ასევე პერსონალისათვის. კომპიუტერები განთავსებულია დირექციის ოთახებში, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში, კანცელარიაში. არასაგაკვეთილო პროცესისათვის განკუთვნილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერული ლაბორატორია არის როგორც მოსწავლეების, ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა სარგებლობაში. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრულ სამყაროში ქცევის გზამკვლევი მშობლებისა და მოსწავლეებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრულ სამყაროში ქცევის გზამკვლევი მშობლებისა და მოსწავლეებისთვის
- სკოლის ინვენტარიზაციის ოქმი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის №1/კ-58 ბრძანებით.
2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (Eflow) სისტემით; ასევე სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, კერძოდ: eSchool.emis.ge, office 365.
3. სკოლას ასევე აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სისტემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის №1/კ-58 ბრძანებით.
- Eflow-ს სისტემა; eSchool.emis.ge, office 365

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საზოგადოებასთან კომუნიკაცისთვის სკოლას აქვს ვებგვერდი (skolebi.emis.ge). ამ ეტაპზე სკოლა საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ და ინფორმაციის მისაწოდებლად იყენებს შესაბამის facebook გვერდს. გარდა ამისა, სკოლას აქვს შენობაში საინფორმაციო დაფა ინფორმაციის გასავრცელებლად. აწყობს შეხვედრებს მშობლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ვებგვერდზე განთავსებული აქვთ სკოლის საქმიანობის შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაცია. ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით პირი.

2. 3.ინტერვიუთი იკვეთება, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

5.სკოლის ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- https://www.facebook.com/skola32
- https://skolebi.emis.ge
- დირექტორის ბრძანება ვებგვერდზე ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება; სამეურვეოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომელი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 28 ივნისის №5 სხდომის ოქმით. სკოლის ბიუჯეტით დაგეგმილია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.
2. სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვა, დირექციის განმარტებით, ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ. იგეგმება შემოსავლები და ხარჯები, ბიუჯეტის პროექტს განიხილავს სამეურვეო საბჭო და ამტკიცებს მას. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ბიუჯეტში ცვლილების შეტანა (მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება და სხვა ობიექტური გარემოებები).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული წესებით, რომლის გამოყენების ვალდებულებაც აქვს სკოლას, ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვას. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები. მოსწავლეთა უფლებები დაცულია ნებისმიერი პირის მიერ სასკოლო სივრცეში. მანდატურები, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, იცავენ მოსწავლეთა უფლებებს, უსაფრთხოებს. სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან/მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები. მოსწავლეები თავიანთი წარმომადგენლის საშუალებით მონაწილეობენ სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არჩეული ორგანოა და რომლის მიზანია მოსწავლეთა ინტერსების გათვალისწინებით სკოლის ცხოვრებაში მათი მაქსიმალური ჩართულობის გაზრდა. სკოლაში მოქმედებს რეფერირების პროცედურები, რაც ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების დაცვას. პერსონალური ინფორმაცია დაცულია, გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი. ინფორმაციის გაცემა ხდება მშობლის თანხმობის საფუძველზე. მოსწავლეთა უფლებების დაცვის მაგალითი იკითხება 2018 წლის 9 მარტის დისიპლინური კომიტეტის №4 სხდომის ოქმში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სადაც აღნიშნულია, რომ სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლის მე-9 ა პუნქტით გათვალისწინებული სახდელი- სამსახურიდან გათავისუფლება- დაეკისრა მასწავლებელს მოსწავლის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის.

2. სკოლის შინაგანაწესი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლებისთვის, სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია საჩივრების განხილვაზე.

3. სკოლას გაფორმებული აქვს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულება, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, მასში ნათლად არის ასახული მხარეთა ვალდებულებები და საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების სხვა დეტალები. მშობელთან დადებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში ან ეჭვის შემთხვევაში, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობა ან დაგვიანება განპირობებულია სწავლის უფლების შეზღუდვით, იმოქმედოს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტენმბრის N437 დადგენილებით.

სკოლის შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ I-IV კლასელებს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ მოაკითხოს მშობელმა ან დაურეკოს მშობელმა ვინ მოაკითხავს ბავშვს. მუხლი N4 მშობლის ხელშეკრულებაში ხელმოწერით თანხმობას აცხადებს რომ მისი შვილის შესახებ პერსონალური ინფორმაცია გამოყენებული იქნეს სასწავლო მიზნებისთვის დამუშავებული კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ფოტო და ვიდეოგადაღება განხორცილდეს, დაიდოს ინტერნეტსივრცეში, სოციალურ ქსელში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს დირექტორის მიერ 2023 წლის 18 სექტემბრის N1/კ-68 ბრძანებით მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი. ამავე წესით ხორციელდება მობილობა სკოლაში, სტატუსის შეჩერება, სტატუსის აღდგენა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩარიცხვა. საფეხურის დაძლევის საკითხების განხილვისას სკოლა ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. სკოლა ხელმძღვანელობს დირექტორის მიერ 2023 წლის 18 სექტემბრის N1/კ-68 ბრძანებით მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმით.
3. სკოლის სერვისებისა და სკოლაში მოქმედი რეგულაციების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვით დაინტერესებულ მშობელს აქვს შესაძლებლობა ინდივიდუალურად გაესაუბროს სკოლის წარმომადგენლებს, წინასწარ გაეცნოს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს ხელშეკრულებები გახანგრძლივებული წრის, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების მიზნით სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბრძანებით პირი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, მობილობის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის №1/კ69 ბრძანებით დამტკიცებული აქვს გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმი, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: პირველკლასელთა ადაპტაცია, მოსწავლის კმაყოფილების კითხვარი და მშობელთა რეკომენდაციის კითხვარი.
2. სასწავლო პროცესის დაწყებიდან მოსწავლის სასწავლო გარემოში ადაპტაცია უზრუნველყოფილია დამრიგებლების მუშაობით. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში - დამატებით სპეციალური მასწავლებლების და ასისტენტის მუშაობით.
3. გასაუბრებით დადგინდა, რომ საჭიროებისა და სურვილის შემთხვევაში, მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. დირექციის განმარტებით, მოსწავლეების ადმინისტრაციული მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იქნება მიმართვის შემთხევებში. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებმა შეიძლება ისარგებლონ შინ სწავლებით, ექსტერნატის ფორმით დაძლიონ ცალკეული კლასი/საგნები და ა.შ.
5. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური აქტივობები, რასაც ადასტურებს სკოლაში განხორციელებული პროექტები, კლუბები. მოსწავლეებს შექმნილი აქვთ სკოლის ინტერნეტგაზეთი ,,ნომერი 32"; ჩამოყალიბებულია კლუბები, სამოქალაქო განათლების მიმართულებით და შექმნილი აქვთ საქველმოქმედო ღონისძიებების განმახორციელებელი ჯგუფი-,,თანადგომა". საინიციატივო ჯგუფის ჩართულობით ჩაატარეს სასკოლო სპორტული ჩემპიონატები ფეხბურთში, ფრენბურთსა და მკლავჭიდში. ასევე ჩატარებული აქვთ ინტელექტუალური თამაში სკოლის მასშტაბით ,,ტვინების ბრძოლა", „რა სად როდის". საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ა) მკითხველების კლუბი - სკოლაში არსებული მკითხველთა კლუბის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეების აქტიურ და კარგ მკითხველებად ჩამოყალიბებას, მათი წიგნიერების დონის ამაღლებას. კლუბში გაწევრიანებული არიან მე-4 კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეები. ამოცანები-წიგნის კითხვის მოტივაცია; კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება; მოსწავლეთა თვითრეალიზაცია; მოსწავლეთა კომუნიკაცია და თანამშრომლობა; შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარების განვითარება; ნაწარმოებში ასახული თემის, პრობლემების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;

ბ) კლუბი „ნორჩი მზრუნველები“- სკოლაში დაფუძნებულია კლუბი „ნორჩი მზრუნველები“კლუბის მიზანია:

- სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება;
- მოსწავლის პიროვნული განვითარება, მისი ღირებულებითი სისტემის ფორმირება;
- მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და თანაგრძნობის უნარის გაღვივება;
- ენობრივი, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება;
- ინფორმირებული, აქტიური, პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდა.

კლუბის წევრები

ზრუნავენ მიუსაფარ ცხოველებზე; პერიოდულად ახორციელებენ ვიზიტს ცხოველთა თავშესაფარში და ეხმარებიან ცხოველებისათვის პატრონების მოძიებაში. აქტიურად იღებენ მონაწილეობას **შშმ პირთა ორგანიზაცია „მოწყალების“** მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში; რომელიც ითვალისწინებს მათ მიერ მომზადებულ გასართობ პროგრამებში მოსწავლეთა ჩართვას, მხატვრული ლიტერატურის ერთობლივად კითხვას. აღადგენენ დაზიანებულ წიგნებს. კერძოდ, აწებებენ დაზიანებულ ყდებს, კინძავენ ამოცვენილ ფურცლებს. ეხმარებიან მზრუნველობას მოკლებულ ადამიანებს.კერძოდ, მათვის აგროვებენ პირად ნივთებს (ახლებს), და კვების პროდუქტებს.

გ) ჟურნალისტური კლუბი „ჰერმესი 32“.

კლუბის მიზანია :

- მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ საზოგადოების სიჯანსაღისთვის აუცილებელია პრობლემებზე კონცენტრაცია, მისი დაფიქსირება და ამის შემდეგ მოგვარების მეთოდების მოძებნა, უკვე არსებული გამოცდილებების შესწავლა და შეფასება.
- მოსწავლეები პროცესში სიღრმისეულად ეცნობიან მათ მიერ შერჩეულ საკითხს, რითაც უფრო მეტად აღიქვამენ მოქალაქის ჯანსაღ პოზიციასა და როლს დემოკრატიულ სახელმწიფოში, აანალიზებენ თავისუფალი და მიუკერძოებელი მედიის როლს სახელმწიფოს განვითარების გზაზე, რაც მხოლოდ პრობლემების სწორად შეფასების შედეგადაა შესაძლებელი.
- ამ პროცესის დახმარებით შესაძლებელია მათი დაინტერესება განვითარებადი და პერსპექტივის მქონე პროფესიებით, როგორიცაა ჟურნალისტური საქმიანობა, ტელევიზიისთვის საჭირო ტექნიკური და კომპიუტერული პროფესიები.

დ) კლუბი"მოქალაქის გზა"

კლუბის მიზანი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

 მოსწავლეებში სამოქალაქო აქტივიზმის დანერგვა და მოხალისეობრივი სოციალური (საზოგადოებისთვის)სასარგებლო პროექტების განხორციელება საჭიროების და ინტერესების გათვალისწინებით. კლუბის ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

 ეკო პროექტი"ჩვენი გარემო ჩვენი საზრუნავია"(მე-8კლ)

 "მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობების გაცნობა" რამდენად იცნობენ მოსწავლეები საკუთარ უფლებებს(მე-10კლ)

 "სამართლებრივი კულტურის დანერგვა ჩვენს ცხოვრებაში და სასკოლო საზოგადოებაში"

 "ერთად შევცვალოთ მომავალი" (არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა "ბავშვთა უფლებათა ლიგა") მე-10კლ

 მედიაწიგნიერების დანერგვა(მე-10კლ)

 "გვახსოვდეს ჩვენი წარსული" (რეპრესიების ეპოქა)მე-10კლ

 "გზა ევროპისკენ" "ევროპა ჩვენი მომავალია" ვიზიტი საინფორმაციო ცენტრ ნატო-ევროკავზშირის ცენტრში

 სტუმრად თემქის მოხუცთა თავშესაფარში "გავუთბოთ გულები"პროექტის ფარგლებში

 ვიზიტი კლინიკა პირველში პროექტი"რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები"(ნაადრევი ქორწინების ნეგატიური შედეგები და სქესობრივი გზებით გადამდები ინფექციების შესახებ სემინარი,შეხვედრა კვალიფიციურ მედ პერსონალთან პროექტი"არასრულწლოვანი და დანაშაული"(ვიზიტი პოლიციის აკადემიაში)

ე) STEAM კლუბი

კლუბის მიზანი:

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და მეცნიერებისა და დიზაინის დისციპლინებში მოსწავლეთა უნარების გაუმჯობესება. კლუბის ფარგლებში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაიაზრონ მეცნიერების მნიშვნელობა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, იმუშაონ მეცნიერებასა და დიზაინთან დაკავშირებულ სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, მოიძიონ და გაანალიზონ ინფორმაცია, გადაჭრან მათ წინაშე არსებული ამოცანები, ჩაატარონ მარტივი და სახალისო ექსპერიმენტები, გამოთქვან ვარაუდები და გააკეთონ დასკვნები, შექმნან პროდუქტი, რომელიც უპასუხებს გარკვეულ მოთხოვნებს, კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით გაანალიზონ თავიანთი ნამუშევრები და იფიქრონ მათი გაუმჯობესების გზებზე.

დიზაინის კლუბის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეების წიგნიერებისა და მათემატიკური უნარების განვითარებას. სკოლა აქტიურად სთავაზობს მოსწავლეებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თუ სხვა ორგანიზაციებიდან მოწოდებულ პროექტებს, აქტივობებს. მუდმივად ხორციელდება წარმატებული მოსწავლე წახალისება.

6. სკოლის გადმოცემით, პირისპირ შეხვედრებზე უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბების მიზნით, სკოლა მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, შეხვდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, გაეცნონ საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას, ასევე, უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების გაცნობა. მოსწავლეები იმყოფებოდნენ კოლეჯ „მერმისში“, სადაც გაეცნენ კოლეჯის მრავალფეროვან და საინტერესო პროფეიული კვალიფიკაციის პროფესიებს.
2. პროფესიული ორიენტაციის, ზოგადი განათლების დასრულების შემდგომ კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ მოსწავლეებისა და მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდება უზუნველყოფილია დამრიგებლების მუშაობით, პროფორიენტაციის საათის ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სკოლა გეგმავს, უკუკავშირი მიიღონ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლიდან, ამისათვის გამოყოფენ შესაბამის სამიზნე ჯგუფებს და შეიმუშავებენ კითხვარებს. აწარმოებენ Forms - ით გამოკითხვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლის ანგარიში

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირების და მისთვის სათანადო მომსახურების შეთავაზების მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმით“, ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას, სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს დირექტორის მიერ 2023 წლის 18 სექტემბრის №1/კ-71 ბრძანებით სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.
2. სსსმ მოსწავლის მხარდაჭერას ახორციელებენ ისგ ჯგუფის წევრები, სპეციალური მასწავლებელი მუშაობს მოსწავლის კლასის მასწავლებლებთან და მშობლებთან, უწევს მათ საჭირო კონსულტაციას და დახმარებას, მოსწავლესთან გამოსაყენებელი მიდგომების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

•სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის №1/კ-71 ბრძანება სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შესახებ

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა და მშობლების ინტერესების გათვალისწინებით სკოლის მიერ შეთავაზებულია დამატებითი, არასავალდებულო მომსახურება-გახანგრძლივებული წრე. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს კვების ობიექტი, რომელიც იჯარის ხელშეკრულებით აღებული აქვს ფიზიკურ პირს. კვების ობიექტის ფუნქიონირების მიზნით კვების ობიექტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქმედება რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 05 მაისის №410 ბრძანების „სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციების თაობაზე“.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებები: გახანგრძლივებული წრე და კვების ობიექტის მომსახურება - არის ნებაყოფლობითი.

3. საქართველოს მთავრობის 173-ე დადგენილებით განსაზღვრულ კვების ობიექტის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას მონიტორინგს უწევს სურსათის ეროვნული სააგენტო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან დადებული ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამი*
სასკოლო კურიკულუმი **(დაწყებითი საფეხური)**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; კურიკულუმის განვითარების ეტაპებსა და პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი.კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფმა სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმა და განახორციელა შეხვედრები, რომელებიც ემსახურებოდა მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებას. შემუშავებული გაზიარდა კათედრის სხდომაზე, სკოლის დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს. არსებული მეთოდოლოგია სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მუშაობის პროცესში საზოგადოებას შესთავაზოს შექმნისა და გაზიარების სრულყოფილი მეთოდოლოგიური დოკუმენტი მოსწავლეების და მშობლების აქტიური ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი რომ გახდეს მკაფიო, სკოლის ხელმძღვანელობის მიერ გათვალისწინებელი იქნება მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვა, გამოცდილება და უკუკავშირები, სასკოლო საზოგადოების შესაძლებლობები, შეხვედრები დაწყებითი საფეხურის მშობელთა კლუბის წევრებთან, როგორც დასწრებული, ასევე დაუსწრებელი ფორმით (TEAMS ჯგუფები). სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ინტერესები, აქტუალური საკითხები გათვალისწინებული იქნება და მოერგება სასკოლო საზოგადოების ინტერესებს.

კურიკულუმის საბოლოო ვერსია შეთანხმდა კათედრის სხდომაზე, რომელიც წარედგინა დირექციას. კურიკულუმის თითოეულ აქტივობასა და კომპლექსურ დავალებაში პედაგოგებს დეტალურად აქვთწარმოდგენილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. მიზნები შემუშავდა სასკოლო საზოგადოების აზრის შეჯერების გზით. მასწავლებლის მხრიდან კურიკულუმით განისაზღვრა, რომ უპირატესობა მინიჭებოდა თანამედროვე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაზრდიდა მოსწავლეთა დაინტერესებასა და ჩართულობას. პედაგოგის მხრიდან გათვალისწინებულია აუდიო, ვიდეო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრეზენტაციის სახით მიწოდებული რესურსები. კურიკულუმის შედეგების ანალიზისათვის პედაგოგის მხრიდან გამოყენებულია განმავითარებელი შეფასება. შეფასებები გამოირჩება პოზიტიური დამოკიდებულებით. აქცენტი გაკეთებულია მოსწავლის მიღწევაზე და კომენტარები ეხმარება მოსწავლეებს სირთულეების მიგნებასა და მათ გამოსწორებაში. კურიკულუმის მიღწევის დონის დიაგნოსტირებისათვის პედაგოგის მხრიდან გაანალიზდა თითოეული კომპლექსური დავალებისა, აქტივობისა და პროექტის შედეგები და მუშაობის პროცესი და ამ შედეგების ანალიზის გათვალისწინებით დაიგეგმება ამ საგნის მომავალი წლის კურიკულუმი. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გაგება-კვლევისათვის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარეს მშობელთა კრებები და ზეპირი გამოკითხვის გზით გაიზიარეს მშობელთა მოსაზრებები ბავშვების ინტერესების შესახებ. მშობელთა აზრის გათვალისწინებით მათ შეიმუშავეს საგნის კურიკულუმები. შეხდევრებზე მიღებული ინფორმაციების გათვალისწინებით, აქცენტი გაკეთდა აღმოჩენებით სწავლების მეთოდზე. სამომავლოდ დაგეგმილია ინფორმაციის შეგროვებისათვის მეტად დაინერგოს ციფრული გამოკითხვის საშუალებები, დაგეგმილია ინფორმაციის შეგროვებისათვის ციფრული გამოკითხვის საშუალებების (forms- ის) გამოყენება, რომლებიც დაიეხმარება პედაგოგს უფრო სწრაფად და ეფექტურად შეიტყოს მოსწავლეთამ მშობელთა და კოლეგათა ინტერესი და მოახდინოს მონაცემების ანალიზი. მეთოდოლოგიის მიხედვით, კათედრის თავჯდომარე უზრუნველყოფს კათედრების სხდომების ჩატარებას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, მსჯელობს კოლეგებთან ახალი სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებზე, კომპლექსურ დავალებებზე, სასწავლო რესურსებზე და სწავლების მეთოდებზე, აგროვებს კათედრების წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს, თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან და მონაწილეობას იღებს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. სკოლის დირექცია კურიკულუმის დანერგვის პროცესში ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის პროცესს.

კურიკულუმის დანერგვის პროცესში პედაგოგი კლასის ყველა მოსწავლეს ეხმარება შუალედურ სასწავლო მიზნების დაძლევაში პარალელურად კი, ინიშნავს აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება ცოდნის კონსტრუეირების პროცესში. სასწავლო თემაზე მუშაოების პროცესში იმართება კათედრის სულ ცოტა ერთი სხდომა, სადაც პარალელური კლასის მასწავლებლები თანხმდებიან რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს იგივე თემის სწავლების პროცესში. მუშაობის შედეგებს ონლაინ პლატფორმების საშუალებით უზიარებენ მშობლებს.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი ითვალისწინებს კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას, იგი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია. რაც შეეხება კვლევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შეფასებას, ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით, მათ შორის, მასწავლებლების პროფესიული განვითარების, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირების, და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კუთხით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლაში კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრების სრული ჩართულობით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, სკოლის კონკრეტული საჭიროებები. კურიკულუმის შექმნის დროს აგრეთვე ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს საფეხურების მიხედვით კურიკულუმებში სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები ცნებების მიხედვით, მოიფიქრეს საკვანძო შეკითხვები და აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექციამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების ჩართულობით შემუშავებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და გამომდინარეობს სასკოლო საზოგადოების მიერ შექმნილი მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან. ინტერვიუში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო აქტივობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებიულია სასკოლო კურიკულუმი. მშობლებს კომპლექსური ბარათების საშუალებით აცნობდნენ დავალებებს და იღებენ მათ უკუკავშირს. ასევე მოსწავლეების მიერ შექმნილ კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტებს უზიარებდნენ მშობლებს და ისმენდნენ მათ შეფასებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, კურიკულუმის გაზირებისთვის იყენებენ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებს, მათ შორის, ფეისბუქის და თიმსის ჯგუფებს. აღნიშნულის საშუალებით მშობელსა და მოსწავლეს წვდომა აქვს საკუთარი სკოლის სასწავლო გეგმაზე. 2023-2024 სასწავლო წლიდან კი ვებ-გვერდის საშუალებით შეიქმნება ახალი საკომუნიკაციო პლატფორმა, სადაც მოხდება სასწავლო პროცესისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაზიარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების გაანალიზების, ასევე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ნათლად გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს, იციან, რას წარმოადგენს კურიკულუმის თითოეული კომპონენტი, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. კურიკულუმის შედგენისას პედაგოგებმა გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მაგალითად მეექვსე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოსწავლეები ჯერ ინტერნეტი ქმნიან საკუთარ ანგარიშს (ელ.ფოსტას) და შემდეგ ეცნობიან ინფორმაციული ეთიკის ნორმებს ქმნიან სტატიას/ესსეს სადაც თანატოლებს ესაუბრებიან თემაზე „როგორ გავხდეთ კარგი ციფრული მოქალაქე“ შესახებ. კურიკულუმი არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, მათი მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს.

რჩევა: სასურველია დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების შემავალ საგნობრივ კურიკულუმებში მოხდეს ყველა კლასში სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმებში შეტანილი კომპლექსური დავალების იდეები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; მაგალითად, მეექვსე კლასის, ინგლისური ენის კურიკულუმში, სავალდებულო თემის (სოციოკულტურა - დღესასწაულები და ტრადიციები) ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ პრეზენტაციის ან პოსტერის წარმოდგენა, რომელშიც მოსწავლეები ისაუბრებენ მიერ არჩეულ ქვეყანაში აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციის შესახებ. შეადარებენ საკუთარ ქვეყანაში აღდგომის აღნიშვნის ტრადიციას და იმსჯელებენ მსგავსება -განსხვავებაზე. მოცემული კომპლექსური დავალება, ერთის მხრივ მიემართება პირველი უცხო ენის სტანდარტის სავალდებულო თემატურ ბლოკს (სოციოკულტურა - დღესასწაულები და ტრადიციები), ფარავს უცხო ენების გრძელვადიან მიზნებს და მეორეს მხრივ კი მოსწავლეს უვითარებს ისეთ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, ხასიათი/ნებელობა და მოქალაქეობა. სრულყოფილი მოქალაქის ჩამოყალიბებას ემსახურება, ასევე განხორციელებული პროექტები, ამ მიართულებით ისინი ჩართულნი არიან და აქტიურად მუშაობენ არაფორმალური განათლების მიმართულებით, კათედრაზე ფუნქციონირებს მოსწავლეთა ,,ახალგაზრდული გაზეთი 32", აქვთ ხშირი გასვლითი ღონისძიებები. ამრიგად დაწყებითიი საფეხურის კურიკულუმი მიემართება გრძელვადიან მიზნებს ფორმალური თუ არაფორმალური სწავლის პროცესში **ინდიკატორი დადასტურებულია**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის გეგმის შესაბამისად გეგმავს უზრუნველყოს თანაბარ ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი ყველა მოსწავლისთვის, რაც თავის მხრივ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებას გულისხმობს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას, წარმოდგენილი თემატური ერთეულების, ინდ. გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინ-კლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ, აქვთ გამოცდილება, რომ ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ სამომავლოდ კურიკულუმის ადაპტირება. 2021-2022 სასწავლო წლიდან ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგებითა და სამუშაო შეხვედრებით მასწავლებლებმა უკეთ გაიაზრეს დიფერენცირების არსი და მისი პრაქტიკაში გადმოტანა. ხოლო მიმდინარე წლიდან კი სკოლაში ,,მრავალშრიანი მხარდაჭერის სისტემის MTSS" საპილოტე პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების შემდეგ განხორციელდა დიაგნოსტიკური ტესტირება, ექსპერტის უკუკავშირისა და ტესტირების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მოსწავლეთა საჭიროებები. სკოლის დაწყებით საფეხურზე 13 მოსწავლე სარგებლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. მათთან მუშაობენ სპეციალური მასწავლებლები როგორც საკლასო, ასევე რესურს ოთახში. სასკოლო სასწავლო გეგმისა და სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია ისგ ჯგუფის შექმნა. ისგ ჯგუფის წევრები ერთად გეგმავენ სსსმ მოსწავლის განვითრების გზებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კომპლექსური დავალებების შესრულებისას, სსსმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლესთვის იქმნება დავალების ადაპტირებული პირობა მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სკოლის თითოეული მოსწავლის, მათ შორის სსსმ მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვა სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც გულისხმობს დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლა ირჩევს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად პირველი მოდელს, რაც სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტსა და საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს პროექტში აქვს გაწერილი. განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. წარმოდგენილი აქვთ „სოლო“ ტაქსონომიის გამოყენების პრაქტიკა. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; .

ესთეტიკის კათედრაზე შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, ასევე განმავითარებელი შეფასება მუსიკაში, პედაგოგებთან ინტერვიურებისას ითქვა, რომ დაწყებით საფეხურზე V-VI კლასში კოლეგები შექმნიან განმსაზღვრელი შეფასებას მუსიკაში, საამისოდ გამოიყენება შეფასების ინდიკატორები- ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული თითოეულ სარეკომენდაციო თემისთვის და სამიზნე ცნების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

რჩევა: მიზანშეწონილია **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში** მასწავლებლებმა შექმნან კურიკულუმებში შეტანილი თემების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

მიზანშეწონილია **საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში** აღწერილი კონტექსტ მაგალითების შესაბამისად შეიქმნას განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილი იქნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების სახით.

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ამ მიმართულებით სკოლაში დამკვიდრებულია კათედრების, კლასის დამრიგებლების, ისგ ჯგუფის წევრების ანგარიშების წარმოდგენა-გაანალიზება. განვლილი წლის შეფასების საფუძველზე განიხილება ხარისხის გასაუმჯობესებელი მექანიზმების დანერგვა, სასკოლო საზოგადოების მიერ მოწოდებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტუალური საკითხები აისახება მომავალი სასწავლო სამოქმედო გეგმის შედგენის დროს. სკოლა საუბრობს, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლი აკეთებს თვითრეფლექსიას, თუ რამდენად მოახდინა მისმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, რათა წინარე სასწავლო წლის გამოცდილება გათვალიწინებული იყოს შემდგომი სასწავლო წლის სამუშაო პროცესის დაგეგმვისას კონსტრუქტივისტული მიდგომებით. სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. ამ მიზნით **ესთეტიკური აღზრდის** კათედრაზე კვლავ იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება წელიწადში რამდენჯერმე. კათედრის სხდომის ოქმი N 1 მიუთითებს მასწავლებელს რომ სასწავლო პროცესი წარმართოს საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში და მოახდინოს განხორციელებული საქმიანობის რეფლექსია (თვითშეფასება).**ინდიკატორი დადასტურებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
2. კომპლექსური დავალების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (უცხო ენები);
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის წესი .
5. მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
6. შეფასების რუბრიკები
7. სსიპ ქ.თბილისის N 32 საჯარო სკოლის ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის სხდომის ოქმი N 1
8. სტრატეიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლა შესაბამისს საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აიდენტიფიცირებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროებებს, რაც მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. დაწყებითი საფეხურის, უცხო ენების კურიკულუმებში, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, მასწავლებლები იყენებენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. კურიკულუმებში ისეთი სასწავლო თემები აქვთ შეტანილი, რომლებიც მრავალფეროვანი კომპლექსური დავალების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. მაგ: რიცხვების გამოსახულებიანი, ილუსტრირებული ბარათები; საკვების გამოსახულებიანი ბარათებით დიალოგის გათამაშება; პოსტერი თემაზე „ზოოპარკისა და ფერმის ცხოველები“; დაბადების დღის მოსაწვევის დამზადება; საოჯახო ფოტოალბომისა და გენეალოგიური ხის პრეზენტაცია; პოვერ პოინტის პრეზენტაცია თემაზე: „აღდგომის დღესასწაული“; ნახატებით გაფორმებული აღწერითი ტექსტის შექმნა თემაზე: ,,ჩემი პირველი დღე სკოლაში''. გარდა კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებისა სკოლა აქტიურად იყენებს ინტეგრირებულ გაკვეთილებსაც, კერძოდ ტექნოლოგიები და ინგლისური. მოსწავლეებმა ინგლისურში შეისწავლეს საცხოვრებელ ოთახში არსებული საგნები და Mincraft-ის გამოყენებით შექმნეს მათი საოცნებო ოთახი. გარდა საგაკვეთილო სწავლებისა, მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურება ხდება მასწავლებლის მიერ ორგანიზებული, მიზნობრივი გარემოს შექმნის საშუალებით, რომელშიც უპირატესია მოსწავლის წინარე ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება სამიზნე ცნებების გააქტიურებაზე. ამ პროცესში მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი-თავად განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, საკუთარ შეფასებას წარმოადგენს სხვადასხვა ფორმით, ვერბალური თუ წერულობითი სახით. კერძოდ, სოციალური თუ საწავლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება (გასვლითი ღონისძიებები, კლუბის ფარგლებში განხორციეებული აქტიბობები) ემსახურება მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას. მაგ: დედამიწის დღესთან დაკავშირებით დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი ,,დედამიწა ჩვენი სახლია“, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა განიხილეს ფილმი, მშობელთა ინფორმირებულობის მიზნით დაამზადეს საინფორმაციო ბუკლეტი ეკოლოგიურ პრობლემებზე, მონაწილეობა მიიღეს სკოლის ეზოს გამწვანებაში. აღნიშნულ პროექტში მოსწავლე ყველა ეტაპზე იყო აქტიური, ხდებოდა მისი შინაგანი ძალების გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი დადასტურებულია

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შეტანილია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობი სასწავლო თემები და კონტექსტები, რომელიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. კურიკულუმი კომპლექსური დავალების სასწავლო პროცესში გამოყენებას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.

წარმოდგენილი კურიკულუმები და კომპლექსური დავალების პირობები, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ კიდეც, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნების გარეშე ვერ განხორციელდება, რადგან კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის კონსტრუირებას და აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. იგივე დაადასტურეს სკოლის პედაგოგებმა გასაუბრებისას. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურ ცოდნად გარდაქმნის პროცესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, მასწავლებელი ვალდებულია, დააფიქროს მოსწავლე იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რომლებსაც იგი გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და დაეხმარება მათ შორის საუკეთესოს აღმოჩენაში. მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში, მოსწავლე პასუხობს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს მას გააკეთოს სწავლის რეფლექსია: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატებსაგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები/პირობები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზეა, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს და სხვა. ეს შეკითხვები მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად გაანალიზდეს თითოეული ნაბიჯი, სწავლის პროცესი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. შესაბამისად, აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები/პირობები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. მასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ გაკვეთილებზე მიღებული თეორიული ცოდნა მოსწავლემ გამოიყენოს ცხოვრებაში. ბუნებისმეტყველებაში მიღებულ თეორიულ ცოდნას უკავშირებენ რეალურ ცხოვრებისეულ მოვლენებს, მაგ: რა სჭირდება მცენარეს ზრდა-განვითარებისთვის, თეორიული ცოდნას გამოცდიან პრაქტიკაში, როცა ატარებენ კვლევას. მოსწავლეები თესავენ მარცვლეულს (ხორბალი, ლობიო) და დგამენ მზიან და ჩრდიალიან ადგილას. აკვირდებიან, რომელს რა ემართება გარკვეული დროის შემდეგ. რა ემართება მორწყვისა თუ მოურწყველობის შემდეგ. ჩანაწერებს აკეთებენ წიგნაკში. შეგროვებულ მონაცემებს აფასებენ და გამოაქვთ დასკვნები. მომავალი წლის კურიკულუმში გათვალისწინებულია, კომპლექსური დავალებების განხორციელების რაოდენობის გაზრდა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარებას. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებითი კლასების სასწავლო კურიკულუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და შესაბამისობაში მის მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** მიზანშეწონილია სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტში/ლაბორატორიაში ახალი, თანამედროვე რესურსის, კერძოდ: ფიზიკაში: მათემატიკური ქანქარა, ელექტრული წრედის შემადგენელი ელემენტები, გამტარები, გამზომი ხელსაწყოები: ამპერმეტრი, ვოლტმერი. ბიოოგიაში: ადამიანის ჩონჩხი და მისი ნაწილები. ქიმიაში: სინჯარები კოლბები, მარტივი ნივთიერებები, თერმომეტრი, სასწორი ნივთიერებების მასების გასაზომად.- შეძენასთან დაკავშირებით.

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ცოდნის ურთიერთდაკავშირებას, ამა თუ იმ ცოდნის გამოყენებას სხვა საკითხთან მიმართებით. საგანთა შორის კავშირის გამოყენებით, კათედრების თანამშრომლობით და ერთობლივი მუშაობით პედაგოგები აღწევენ მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ცდილობენ კურიკულუმებში დაგეგმონ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს გამოადგება მიღებული თეორიული ცოდნის სხვა საგნებში გამოყენებაში. ამ მიზნით, სკოლის დაწყებით საფეხურზე ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, სადაც მოსწავლეს სჭირდება ცოდნის ორგანიზება და სხვადასხვა საგანში მიღებული გამოცდილების დაკავშირება ერთმანეთთან. მსგავსი ტიპის გაკვეთილები იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა დაინახონ საგანთაშორის კავშირი და სწავლება, როგორც ერთიანი პროცესი. დაწყებითი კლასების მასწავლებლები (I-IV) საკუთარ სადამრიგებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასებს სხვადასხვა საგანს ასწავლიან. ეს ამარტივებს ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვასა და განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები მომავალი სასწავლო წლისათვის უფრო მეტი ინტეგრირებული დავალების შექმნას გეგმავენ.

რჩევა: სასურველია ,,მე და საზოგადოებისა" და ,,ჩვენი საქართველოს" საგნობრივ მიმართულებაზე სკოლამ გააძლიეროს საგანთა შორის ინტეგრაცია, დაგეგმონ ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტები, ღონისძიებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
2. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030)
3. სასწავლო პროექტი
4. მოსწავლის პორთფოლიო
5. სკოლის თვითშეფასების ფორმა
6. დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში". I-IV კლასის ყველა პედაგოგმა გაიარა შესაბამისი ტრენინგები, იმუშავა საგნობრივ ექსპერტებთან და შექმნა საგნობრივი კურიკულუმები და კომპლექსური დავალებების მატრიცები, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონკრეტული სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას უწყობს ხელს. დანერგვასთან ერთად პარალელურად მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა პედაგოგებს შორის.

სკოლაში, დაწყებით საფეხურზე, კონკრეტული საგნის შესწავლისას მასწავლებელი გამოყოფს სამიზნე ცნებებსა და საფეხურის მიზნების შესრულებისთვის რელევანტურ დავალებებსა და აქტივობებს. რესურსები, საკვანძო შეკითხვები ორიენტირებულია სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენებთან. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, განიხილავენ საკვანძო შეკითხვებს, აზუსტებენ სწავლის მიზანს და ამუშავებენ სამიზნე ცნებებს. შესრულებული კომპლექსური დავალება, მასწავლებლის უკუავშირი და მოსწავლის რეფლექსია უზრუნველყოფს კავშირს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გაგებასა და გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. მასწავლებლის მიერ დაგეგმილი აქტივობების გაცნობიერება და მნიშვნელობა, ნათლოად ჩანს შეფასების რუბრიკებიდან (მასწავლებლის შეფასება, თვითშეფასების რუბრუკა, ურთიერთშეფასების რუბრიკა). 2023-2024 სასწავლო წელი დაიგეგმება მიღებული უკუკავშირისა და განვლილი მუშაობის ანალიზის საფუძველზე-მასწავლებლის, მშობლისა და სკოლის ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობით. მაგალითად, მეოთხე კლასში ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნო კომპლექსური დავალების პირობა და მათთან ერთად სიღრმისეულად გაიაზრა და დაამუშავა, ამ დავალების სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. შექმნა საბოლოო პროდუქტი პოსტერის სახით, რომელშიც აისახა დავალებით გათვალისწინებული სანიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად გააანალიზეს, რამდენად ესადაგებოდა მიზანი მიღებულ შედეგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები, კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები, სწავლების სტრატეგიები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება მიემართება მოსწავლის ფსიქო-სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობას. სკოლის პრაქტიკაა მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვება და შესაბამისი ქცევის მხარდამჭერი გეგმის შემუშავება, სასკოლო და საკლასო პროექტების განხორციელება, რომელიც მოსწავლეების ემოციურ გააქტიურებას, ემპათიის, პასუხისმგებლობის, აქტიური მოქალაქისათვის დამახასიათებელი უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. პირველ კლასში მოსწავლეთა ემოციური და ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დაიგეგმა სოციალური პროექტი „112 საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის“, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეებსა და მშობლებში დაცულობის შეგრძნების გაღვივებას. მოსწავლეებმა მიიღეს ცოდნა ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის, თანასწორუფლებიანობის, გარემოსთან უსაფრთხოდ ადაპტაციისა და სხვა იმგვარი საკითხების შესახებ, რომლებიც მათთვის ახალ გარემოში ადაპტაციისას გამოწვევად იქცევა. პროექტი განხორციელდა მშობელთა აქტიური ჩართულობით. მათი აზრების გათვალისწინებით შეიცვალა მოწვეულ სტუმართა სია და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაიგეგმა აქტივობების შინაარსი. პროექტის დადებითი შედეგები აისახა მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებში, სტუმრებისა და დამსწრე პიროვნებათა წერილობით და ზეპირ რეფლექსიებში, ეს ყოველივე მოსწავლის პიროვნული და ფსიქო–სოციალური განვითარების საფუძველია. მეორე კლასში კი ინგლისური ენის კურიკულუმი, მოსწავლეებს კონტექსტ-მაგალითად სთავაზობს ილუსტრირებულ დიალოგს და სიმღერის ტექსტ, საჭმელების შესახებ. წარმოდგენილი შინაარსი მოსწავლეში იწვევს პოზიტიურ ასოციაციებს მისთვის ნაცნობ კერძებთან (ქათამი, თევზი, ნაყინი, ფორთოხლის წვენი) და უქმნის მოტივაციას კომპლექსური დავალების, „საყვარელი საჭმელების ბარათების დამზადებისა და დიალოგის გათამაშებისთვის. მსგავსი ტიპის საგნობრივი კონტექსტები და კომპლექსური ბუნების დავალებები, ხელს შეუწყობს მოსწავლეების პიროვნულ განვითარებასა და ემოციურ რეგულაციას. მათ აძლევს საშუალებას, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს შეფასებას მოსწავლის ჰოლისტური განვითარებისთვის. მათი აზრით, ჰოლისტური, მზრუნველი, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მათი სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მოსწავლეთა შეფასება რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზზეა დამყარებული. ამ მიმართულებით ხდება ისეთი რეკომენდაციების გაცემა, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება ინფორმაციის სრულფასოვნად აღქმაში, საგნის ადკვატურ გაგებასა და გააზრებაში, განზოგადების უნარის ჩამოყალიბებაში, ჰიპოთეზების ჩამოყალიბებასა და მის შექმნაში. სკოლაში შემუშავებულია შეფასების კონცეფცია, შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც მიზნებთან სრულ შესაბამისობაშია, მოიაზრებს მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებს. ყველა შედეგს მოყვება გაანალიზების პროცესი და სწავლის პროგრესის მონიტორინგი. მათი აზრით, აუცილებელია, რომ შეფასების სისტემა იყოს გამჭვირვალე. თითოეული გაკვეთილის თუ კომპლექსური დავალების შესაბამის შეფასების რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები და, შესაბამისად, მათთვის გამჭირვალეა აღნიშნული პროცესი, რაც დადებითად მოქმედებს მათ განვითარებაზე. აკვირდებიან მოსწავლეს დინამიკაში და აძლევენ საჭირო უკუკავშირს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ შედეგების გაუმჯობესება. სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, მოსწავლეები ფასდებიან მიმდინარე (საკლასო, საშინაო) და შემაჯამებელი შეფასებებით.

სკოლის დანართებში, ესთეტიკის კათედრაზე, წარმოდგენილია მე-4 კლასელი მოსწავლის ლ.ჩ.-ის პორთფოლიო, სადაც თვალსაჩინოა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი დავალებები. კათედრამ აღნიშნა რომ, მუდმივად ხდება მოსწავლისათვის განმავითარებელი უკუკავშირი მიცემა სიტყვიერად და ჩანაწერის სახით, ასევე იგეგმება სამომავლოდ ჰოლისტური შეფასების უკეთესად ათვისება და გამოყენება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებელია

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებითების კათედრის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები, სადაც კრიტერიუმებში ასახულია სწავლის შედეგებთან შესაბამისობა. მოსწავლეებმა იციან, როგორ შეფასდება მათი შრომა, ისინი იაზრებენ, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. პედაგოგები ქმნიან მკაფიო და არაორაზროვან შეფასების სქემას შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. შეფასებისას მთავარი ორიენტირი გაუმჯობესებასა და სარეკომენდაციო ხასიათის დასკვნებზე ორიენტირებული ეფექტური უკუკავშირების გაცემაა, განმავითარებელ შეფასებას ამ დროს დიდი როლი ენიჭება. მასწავლებელთა მიერ კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების სისტემა. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხდება იმის მიხედვით თუ, რამდენად შეესაბამება შერჩეული ინსტრუმენტი თემის მიზნებს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს. სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემა ვალიდურია სასწავლო მიზნებთან მიმართებაში შემუშავებულია რუბრიკები, რომლებიც სრულად შეესაბამება მიზანს, მოსწავლე ხედავს ყველა გამოსასწორებელ საკითხებს. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და თან სდევს მოსწავლის ყოველდღიურ პროცესს. ფოკუსირება ხდება ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში კრიტერიუმების განხილვის გზით, საკუთარი თავის და თანატოლთა შეფასებით. შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ისინი ივითარებენ ცოდნას, უნარებს, დამოკიდებულებებს. პედაგოგები დეტალურად აცნობენ მოსწავლეებს, როგორ, რომელი კომპონენტებისა და აქტივობების მიხედვით შეფასდებიან. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხის განსაზღვრაში. მართალია, განმავითარებელი შეფასებას ასახავენ ელექტრო ჟურნალში, მაგრამ მომავალი წლისთვის აპირებენ, ამას უფრო სისტემური სახე მისცენ. მაგ. კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ მოსწავლე შეფასდება განმავითარებელი კომენტარით, რომელსაც ასახავენ ელექრონულ ჟურნალში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ვერიფიკაციის ამოცანებია: ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან; ბ) მოსწავლის მიღწევების ანალიზი; გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. წინა წლის გამოცდილებით ვერიფიკაციის მექანიზმს სკოლაში გაკვეთილზე დასწრებით, დაკვირვებით, შეფასების რუბრიკებითა და ერთეულ შემთხვევებში დიაგნოსტიკური ტესტებით ახორციელებენ. სკოლის ერთ-ერთი პრაქტიკაა სემესტრული და წლიური გამოფენები, სადაც გამოკვეთილია მოსწავლეების შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი. გამოფენები ცხადყოფს მოსწავლეებში გამჭოლი, კომპეტენტური უნარების განვითარებას. წარმოდგენილი ნაშრომები ფასდება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით. მშობელს მოსწავლის შეფასება რეგულარულად ეცნობება, როგორც პირისპირ შეხვედრებისას, ასევე, ელექტრონული რესურსების გამოყენებით.ვერიფიკაციის ეფექტურად განსახორციელებლად სკოლა გეგმავს დანერგოს მოსწავლეების პორტფოლიოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოება. სადაც მეტად დაზუსტდება შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, მათი გათვალისწინება.

მოსწავლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციას სკოლა განახორციელებს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტით, პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციით .სკოლა 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავს გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები- მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდების/დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ან სემესტრული გამოცდის ჩატარება,(მოსწავლის მოთხოვნის შესაბამისად) ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები თავის ფუნქციებს განახორციელებენ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. შესაბამისად სკოლის მიერ შემუშავებული და ა წარმოდენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში 2013 წლის 22 აგვისტოს 114/ნ ბრძანების შესაბამისად, ჟურნალი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც ინახება სკოლაში მესამე პირთაგან დაცულ ადგილას 5 წლის ვადით. კანონდმებლობის წესის დაცვით შენახულია მოსწავლის პირადი საქმეები. სკოლაში ასევე შენახულია მოსწავლის მიერ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებები. ასევე, დირექტორის მოადგილეებთან ინახება მასწავლებლების მიერ თითოეულ მოსწავლესთან მიღწეული შედეგების ანალიზი. სკოლა იცავს დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (უცხო ენები);
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;;
- ესთეტიკა- კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები
- დამრიგებლის მშობელთან შეხვედრების სემესტრული ჩანაწერი;
- სოციალური პროექტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებელის ანგარიში
- მასწავლებლის რეფლექსია
- კლასგარეშე აქტივობის გეგმა
- სსსმ მოსწავლის შეფასება ესგ-ის მიხედვით

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლაში არის დაცული ურთიერთ პატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, სკოლაში თვალსაჩინოა თანამშრომლობითი, ჯანსაღი, დემოკრატიული, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული, პოზიტიური კლიმატი, რაც გამოიკვეთა სკოლასთან გასაუბრების დროს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს გრძნობს თანაწორად . წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამები და შეხვედრის ოქმები ცხადყოფს რომ პედაგოგები აქტიურად ეკონტაქტებიან მშობლებს, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი საკითხები და მიდგომები მაქსიმალურადაა ორიენტირებული მოსწავლეზე, პრიორიტეტია სწავლა სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა, მოტივაციის გაზრდა, დისციპლინა ზრუნვა და მხარდაჭერა განაპირობებს მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ წინსვლას და უზრუნველყოფს უპირობოდ მიმღებლობით გარემოს შექმნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.კომპლექსური დავალება აძლევს საშუალებას მოსწავლეს მართოს საკუთარი სწავლების პროცესი, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით და ახალი უნარების აღმოჩენით აძლევს შესაძლებლობას იმუშაოს დამოუკიდებლად, რათა მოხდეს თეორიული მასალის პრაკტიკაში გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს, წარმოდგენილი მასწავლებლის და მოსწავლის პორთფოლიოები გვაძლევს საშუალებას დავაზუსტოთ რომ, მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა სახის ღონისძიებებში და პროექტებში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი არის ორიენტირებლი მოსწავლის მუდმივ წინსვლაზე და განვითარებაზე, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების გარემოს შექმნაზე. განხორციელებულ მაგალითებს შორისაა - სასწავლო პროცესის მონიტორინგისთვის საუკეთესო მექანიზმი დიაგნოსტიკური წერების ჩატარება, IV და VI კლასებში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით. მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის საუკეთესო მაგალითია სასკოლო კლუბების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციონირება. ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, კინოკლუბი, კლუბი ,,ხელოვანი პატარები“. ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი - „სამოთხის გვრიტები“. „მოქალაქის გზა, მათემატიკის შემსწავლელთა კლუბი, დებატთა კლუბი.ელექტრონული გაზეთი „ნომერი 32“.რომლის ჩამოყალიბების იდეა მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სრულყვეს მასწავლებლებმა. მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა ინიციატივით ტარდება არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებები. თანამშრომლობითი კულტურა, მშობლებისა და მოსწავლეების აქტიურობა სასკოლო ცხოვრებაში, რასაც ხელი შეუწყო USAID-ის საბაზისო პროექტის ფარგლებში ჩართულობამ. სასწავლო წლის დასაწყისში ყველა კლასისათვის იქმნება სადამრიგებლო პროგრამა და კლასგარეშე აქტივობები. შესაბამისად სასკოლო სასწავლო წლის კურიკულუმი იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე ორიენტირებულად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კოლეგები ყოველდღიურ შეხვედრებზე, კათედრის სხომებზე, არაფორმალურ შეხვედრებზე უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის შეხედულებებს, ხდება მოსწავლეებთან აქტიური კომუნიკაცია, პედაგოგთა შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. ურთიერთანამშრომლობის კულტურა გამოიხატება სხვადასხვა გზებით, როგორიცაა: ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება, ფოკუსირებული დასწრებები. სასკოლო კულტურისა და კლიმატის განუყოფელი ნაწილია მშობლებთან თანამშრომლობა/კომუნიკაცია. სასკოლო ცხოვრებაში, ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების დროს გადაწყვეტილების მიღება ხდება გუნდურობის პრინციპით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის მიხედვით და დიფერენცირებული მიდგომებით, სასკოლო საზოგადოების სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობით, სათანადოთ უზრუნველყოფილია სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატი ყველა დონეზე. მოსწავლეთა განვითარებისთვის სკოლაში არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფიზიკური გარემო, დაცულია უსაფრთხოება(როგორც ფიზიკური, ასევე სოციალურ-ემოციური). მრავალფეროვანი აქტივობები ეძღვნება ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას ასე მაგ. სკოლაში სწავლობს 13 ეთნოსის წარმომადგენელი. სახელმწიფო ენის დღე განსაკუთრებული დამოკიდებულებით აღინიშნა. მოსწავლეებმა მშობლიურ და ქართულ ენებზე დაწერეს მათთვის საინტერესო ფრაზები, ტექსტები, სიტყვები, ეს და სხვა მრავალი ინიციატივები წახალისებულია და მნიშვნელოვანი ფაქტორია შემდგომში სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. სკოლა გეგმავს სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში მოსწავლეებმა მეტად მიიღონ მონაწილეობა რაც სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდას გაზრდის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

.დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი;
- მშობლის უკუკავშირი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დიაგნოსტიკური ტესტი;
- მასწავლებლის ქეისი სსსმ მოსწავლეზე;
- მოსწავლის პორტფოლიო;
- მასწავლებლის პორთფოლიო
- სადამრიგებლო პროგრამა;
- კლასარეშე აქტივობის გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი
- კლასის დამრიგებლის პროგრამა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წლები;

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა გეგმავს იმუშავოს აღნიშნული დოკუმენტის საბოლოო ფორმულირებაზე , თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, ასევე, ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **რჩევა**:სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურების დეტალურად გაწერა მეთოდოლოგიაში. აღნიშნულ დოკუმენტში მნიშვნელოვანია ჩანდეს, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებასა და მონიტორინგს? რა ინსტრუმენტებზე დაყრდნობით წარიმართება შეფასება და მონიტორინგი? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას - თუ რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. გაწერილია ,როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით,ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა აცხადებს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში?(მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი?(შეფასება). სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა - ანალიზზე დაფუძნებით ,რომელშიც ჩართული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წევრები.სკოლას აქვს სამომავლო ხედვა და მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

2. სკოლის თვითშეფასების ფორმა

3.მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის №2 სხდომის ოქმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:.

1.**მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს,** გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; სკოლა ახორციელებს შეფასების სხვადასხვა ტიპებს: განმავითარე-ბელი და განმსაზღვრელი. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის პრობლე-მის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვა-ნია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობ-რი-ვი და პროცედურული, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობისეული ცოდ-ნის გათვალისწინებით. ამის დასტურია კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. **ინდიკატორის დაკმაყოფილებულია**

2. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით მათ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს როგორც სასკოლო ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად ხდება მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების ტიპები და კრიტერიუმები. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინე-ბუ-ლია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელ-დება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას მონაცემთა შეგროვებისათვის, მასწავლებლები მიმართავენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, კლასის საათზე მოსწავლეთა გამოკითხვას, მშობელთა კრებებზე პრობლემური საკითხების განხილვას, ხდება მონაცემების გაანალიზება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეაფსებას. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება. დაგეგმილია მოსწავლეებზე დაკვირვება და ამ დაკვირვების შედეგების საფუძველზე მიღებული შედეგების გაანალიზებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებელად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (პროექტის მომზადება, ესეს დაწერა, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები გეგმავენ, შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე. სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას: საკლასო და საშინაო დავალები და შემაჯამებელი შეფასებები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ხორციელდება აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ..

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
სკოლის მიერ წარმოდგენილი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, ითვალისწინებს შიდა მონიტორინგის სისტემას, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპიან ციკლს (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე). განვითარების ეტაპის გულისხმობს ნაკლოვანებების მიზეზების განსაზღვრას და მათი აღმოფხვრისთვის რეკომენდაციების შემუშავებას.
როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დირექციის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე, მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, გაკვეთილზე დასწრების გზით. მათი მხრიდან მასწავლებლების მიმართ გაცემული განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რომელიც გავლენას ახდენს კურიკულუმის შემუშავების პროცესზე და გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის დონეზე. მასწავლებლები, კათედრების ფარგლებშიც, ესწრებიან და განიხილავენ ერთმანეთის გაკვეთილებს. აძლევენ ერთმანეთს განმავითარებელ უკუკავშირს, რომელიც ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერისთვის. სკოლაში, კათედრების დონეზე ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის დროსაც საგნობრივი ჯგუფების მიხედვით გაანალიზდება კურიკულუმის დანერგვის პროცესი და გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებაში მასწავლებელი შეიმუშავებს რეკომენდაციებს. მთლიანობაში, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, სკოლაში დამკვიდრებული, შეფასების სხვადასხვა პრაქტიკის ერთობლიობა წარმოადგენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.
როგორც სკოლა თვითშეფასების ფორმაში მიუთითებს და ვიზიტის დროს აღინიშნა, ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულ
უმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. კათედრების ფარგლებში განიხილება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებები: კერძოდ, კომპლექსური დავალების შექმნის მიზნით დაგეგმილი აქტივობებიდან რომელმა გაამართლა/არ გაამართლა, რა იყო ამის მიზეზი. მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას წინა წლის კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს, მაგ: წარმატებული გამოცდილების მიხედვით არჩევენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
2. დანართი N84 (სადიაგნოსტიკო შეფასებები);
3. დანართი N85 (სვოტ ანალიზი);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[x] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენ შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო საფეხური)**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; კურიკულუმის განვითარების ეტაპებსა და პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი.კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფმა სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმა და განახორციელა შეხვედრები, რომელებიც ემსახურებოდა მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებას. შემუშავებული გაზიარდა კათედრის სხდომაზე, სკოლის დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს. არსებული მეთოდოლოგია სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მუშაობის პროცესში საზოგადოებას შესთავაზოს შექმნისა და გაზიარების სრულყოფილი მეთოდოლოგიური დოკუმენტი მოსწავლეების და მშობლების აქტიური ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი რომ გახდეს მკაფიო, სკოლის ხელმძღვანელობის მიერ გათვალისწინებელი იქნება მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვა, გამოცდილება და უკუკავშირები, სასკოლო საზოგადოების შესაძლებლობები, შეხვედრები დაწყებითი საფეხურის მშობელთა კლუბის წევრებთან, როგორც დასწრებული, ასევე დაუსწრებელი ფორმით (TEAMS ჯგუფები). სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ინტერესები, აქტუალური საკითხები გათვალისწინებული იქნება და მოერგება სასკოლო საზოგადოების ინტერესებს.

კურიკულუმის საბოლოო ვერსია შეთანხმდა კათედრის სხდომაზე, რომელიც წარედგინა დირექციას. კურიკულუმის თითოეულ აქტივობასა და კომპლექსურ დავალებაში პედაგოგებს დეტალურად აქვთწარმოდგენილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. მიზნები შემუშავდა სასკოლო საზოგადოების აზრის შეჯერების გზით. მასწავლებლის მხრიდან კურიკულუმით განისაზღვრა, რომ უპირატესობა მინიჭებოდა თანამედროვე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაზრდიდა მოსწავლეთა დაინტერესებასა და ჩართულობას. პედაგოგის მხრიდან გათვალისწინებულია აუდიო, ვიდეო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრეზენტაციის სახით მიწოდებული რესურსები. კურიკულუმის შედეგების ანალიზისათვის პედაგოგის მხრიდან გამოყენებულია განმავითარებელი შეფასება. შეფასებები გამოირჩება პოზიტიური დამოკიდებულებით. აქცენტი გაკეთებულია მოსწავლის მიღწევაზე და კომენტარები ეხმარება მოსწავლეებს სირთულეების მიგნებასა და მათ გამოსწორებაში. კურიკულუმის მიღწევის დონის დიაგნოსტირებისათვის პედაგოგის მხრიდან გაანალიზდა თითოეული კომპლექსური დავალებისა, აქტივობისა და პროექტის შედეგები და მუშაობის პროცესი და ამ შედეგების ანალიზის გათვალისწინებით დაიგეგმება ამ საგნის მომავალი წლის კურიკულუმი. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გაგება-კვლევისათვის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარეს მშობელთა კრებები და ზეპირი გამოკითხვის გზით გაიზიარეს მშობელთა მოსაზრებები ბავშვების ინტერესების შესახებ. მშობელთა აზრის გათვალისწინებით მათ შეიმუშავეს საგნის კურიკულუმები. შეხდევრებზე მიღებული ინფორმაციების გათვალისწინებით, აქცენტი გაკეთდა აღმოჩენებით სწავლების მეთოდზე. სამომავლოდ დაგეგმილია ინფორმაციის შეგროვებისათვის მეტად დაინერგოს ციფრული გამოკითხვის საშუალებები, დაგეგმილია ინფორმაციის შეგროვებისათვის ციფრული გამოკითხვის საშუალებების (forms-ის) გამოყენება, რომლებიც დაიეხმარება პედაგოგს უფრო სწრაფად და ეფექტურად შეიტყოს მოსწავლეთამ მშობელთა და კოლეგათა ინტერესი და მოახდინოს მონაცემების ანალიზი. მეთოდოლოგიის მიხედვით, კათედრის თავჯდომარე უზრუნველყოფს კათედრების სხდომების ჩატარებას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, მსჯელობს კოლეგებთან ახალი სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებზე, კომპლექსურ დავალებებზე, სასწავლო რესურსებზე და სწავლების მეთოდებზე, აგროვებს კათედრების წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს, თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან და მონაწილეობას იღებს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. სკოლის დირექცია კურიკულუმის დანერგვის პროცესში ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის პროცესს.

კურიკულუმის დანერგვის პროცესში პედაგოგი კლასის ყველა მოსწავლეს ეხმარება შუალედურ სასწავლო მიზნების დაძლევაში პარალელურად კი, ინიშნავს აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება ცოდნის კონსტრუეირების პროცესში. სასწავლო თემაზე მუშაოების პროცესში იმართება კათედრის სულ ცოტა ერთი სხდომა, სადაც პარალელური კლასის მასწავლებლები თანხმდებიან რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს იგივე თემის სწავლების პროცესში. მუშაობის შედეგებს ონლაინ პლატფორმების საშუალებით უზიარებენ მშობლებს.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი ითვალისწინებს კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას, იგი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია. რაც შეეხება კვლევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შეფასებას, ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით, მათ შორის, მასწავლებლების პროფესიული განვითარების, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირების, და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კუთხით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლაში კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრების სრული ჩართულობით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, სკოლის კონკრეტული საჭიროებები. კურიკულუმის შექმნის დროს აგრეთვე ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს საფეხურების მიხედვით კურიკულუმებში სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები ცნებების მიხედვით, მოიფიქრეს საკვანძო შეკითხვები და აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექციამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების ჩართულობით შემუშავებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და გამომდინარეობს სასკოლო საზოგადოების მიერ შექმნილი მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან. ინტერვიუში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო აქტივობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებიულია სასკოლო კურიკულუმი. მშობლებს კომპლექსური ბარათების საშუალებით აცნობდნენ დავალებებს და იღებენ მათ უკუკავშირს. ასევე მოსწავლეების მიერ შექმნილ კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტებს უზიარებდნენ მშობლებს და ისმენდნენ მათ შეფასებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, კურიკულუმის გაზირებისთვის იყენებენ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებს, მათ შორის, ფეისბუქის და თიმსის ჯგუფებს. აღნიშნულის საშუალებით მშობელსა და მოსწავლეს წვდომა აქვს საკუთარი სკოლის სასწავლო გეგმაზე. 2023-2024 სასწავლო წლიდან კი ვებ-გვერდის საშუალებით შეიქმნება ახალი საკომუნიკაციო პლატფორმა, სადაც მოხდება სასწავლო პროცესისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაზიარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.**შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, მათი მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას პედაგოგებმა გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მაგალითად, მე-9 კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის ,,ბედი ქართლისა" უკეთ გასააზრებლად მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ კომპლექსურ დავალებას: ,,წარმოსახვით ინტერვიუს ერეკლე მეფესთან", რითაც უკავშირდება საგნის გრძელვადიან მიზნებს, ჟანრსა და კომპოზიციას. კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი მორგებულია მოსწავლეზე. ფიზიკურ აღზრდასა და სპორტის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი თემები - მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ოლიმპიზმი. ყველა თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი დავალებები მოსწავლეს მისცემს შესაძლებლობას, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და წარმოაჩინოს სრულად საკუთარი თავი.
რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებების შემავალ საგნობრივ კურიკულუმებში (გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა) მოხდეს ყველა კლასში სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისად, კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარების, „ჰოლისტური“ მიდგომების განვითარება - ყველა მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებლები არიან ამ ცოდნის მხარდამჭერი. რისთვისაც ცდილობენ იყვნენ თანმიმდევრულები, აქტივობებისა და დავალებების რაოდენობა იყოს ზომიერი და მათი შესაძლებლობების შესაბამისი. ეროვნული სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 ფუნქციურ-კომპონენტური უნარი მეტ-ნაკლებად ასახული და ჩაშლილია კომპლექსურ დავალებებში. (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა). კომპლექსური დავალებები საბაზო საფეხურის ყველა საგნის ყველა კლასშია დაგეგმილი. მოქმედი განმავითარებელი შეფასებაც ემსახურება მოსწავლის ცოდნისა და უნარების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას სკოლაში განხორციელებული პროექტები მოსწავლეზეა ორიენტირებული და საზოგადოებისათვის სრულყოფილი მოქალაქის ჩამოყალიბებას ემსახურება, ამ მიართულებით ისინი ჩართულნი არიან და აქტიურად მუშაობენ არაფორმალური განათლების მიმართულებით. ფუნქციონირებს მოსწავლეთა ,,ახალგაზრდული გაზეთი 32'', აქვთ ხშირი გასვლითი ღონისძიებები. კომპლექსურმა დავალებებმა, კლუბურმა მუშაობამ, პროექტულმა სწავლებამ, არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებულმა ღონისძიებებმა გააააქტიურა მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი უნარები, დახვეწა კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ფორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, ასევე კათედრასთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში კოლეგები ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომას. სახელმძღვანელოდან და ტრენინგებიდან მიღებული ცოდნისა და საკუთარი გამოცდილების კომბინირებით დაგეგმეს იმ კონკრეტული ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებითაც შეძლებდნენ მოსწავლეთა ინტერესებისა გაღვივებას, სწავლის მოტივაციის გაზრდას, ჩართულობასა და ყურადღების შენარჩუნებას. კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები, თავისთავად ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას. გასაუბრებისას გაირკვა, რომ საბაზო საფეხურზე ამ ეტაპზე სხვადასხვა კლასში 4 მოსწავლე სარგებლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. მათთვის შექმნილია ისგ გეგმები, სასწავლო პროცესში წელიწადში რამდენჯერმე ხორციელდება ისგ ჯგუფის შეხვედრა, სადაც განიხილება თითოეული სსსმ მოსწავლის პროგრესი და საჭიროებები. უმნიშვნელოვანესია პროცესში ჩართული მშობლების წინადადებების გათვალისწინება, სსსმ მოსწავლე და მათთან მუშაობის გამოცდილება ასახულია კომპლექსური დავალებების შესრულებისას, საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს როგორც პირობის, ისე აქტივობების მოდიფიკაციას. სკოლა მუშაობს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის წესის მიხედვით და წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. 2021-2022 სასწავლო წლიდან სკოლა ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგებითა და სამუშაო შეხვედრებით მასწავლებლებმა უკეთ გაიაზრეს დიფერენცირების არსი და მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკაში გადმოტანა. ხოლო მიმდინარე წლიდან კი სკოლაში ,,მრავალშრიანი მხარდაჭერის სისტემის MTSS" საპილოტე პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების შემდეგ განხორციელდა დიაგნოსტიკური ტესტირება, ექსპერტის უკუკავშირისა და ტესტირების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მოსწავლეთა საჭიროებები. მასწავლებლებთან გასაუბრებამაც დაადასტურა სკოლის პრაქტიკული გამოცდილება დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მიმართულებით. მათ ისაუბრეს კურიკულუმებში თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნის შესახებ, სასწავლო პროცესში გამოყენებულ მოსწავლეთა შესაძლებლობებზე და ინტერესებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;** ესგ-ს მოთხოვნიდან გამომდინარე, საბაზო საფეხურზე (VII,VIII,IX კლ.) გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. პედაგოგების აზრით, მოსწავლეთა შეფასება ითვალისწინებს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას, რაც საბოლოოდ მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშემწყობი პროცესია. შეფასების ყველა მექანიზმი მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისი რუბრიკები სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და შუალედური მიზნების შედეგზე გადის. მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას არჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი კურიკულუმის გეგმის შედეგებთან მიმართებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის დიმანიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების დროს გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის უნიკალურობა თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით; სკოლაში მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები/ღონისძიებები/კომპლექსური დავალებები ზრდის მოსწავლის პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

რჩევა: მიზანშეწონილია **საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში** აღწერილი კონტექსტ მაგალითების შესაბამისად შეიქმას განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილი იქნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების სახით.

მიზანშეწონილია **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში** მასწავლებლებმა შექმნან კურიკულუმებში შეტანილი თემების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ამ მიმართულებით სკოლაში დამკვიდრებულია კათედრების, კლასის დამრიგებლების, ისგ ჯგუფის წევრების ანგარიშების წარმოდგენა-გაანალიზება. განვლილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის შეფასების საფუძველზე განიხილება ხარისხის გასაუმჯობესებელი მექანიზმების დანერგვა, სასკოლო საზოგადოების მიერ მოწოდებული აქტუალური საკითხები აისახება მომავალი სასწავლო სამოქმედო გეგმის შედგენის დროს. სკოლა საუბრობს, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლი აკეთებს თვითრეფლექსიას, თუ რამდენად მოახდინა მისმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, რათა წინარე სასწავლო წლის გამოცდილება გათვალიწინებული იყოს შემდგომი სასწავლო წლის სამუშაო პროცესის დაგეგმვისას, კონსტრუქტივისტული მიდგომებით. სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
2. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმი
5. ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის სხდომის ოქმი N1
6. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის წესი
7. სტრატეიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
8. მშობელთა კრების ოქმი #1
9. კათედრის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[x] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. **სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
სკოლა შესაბამისს საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.სკოლამ წარმოადგინა ინგლისურ ენაში, მე-7 კლასის მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი power point-ის პრეზენტაციები. მოსწავლეებს აღწერილი აქვთ საქართველოს ტელესივრცეში გადაცემული რეკლამები და დაჯგუფებული აქვთ კატეგორიების მიხედვით, მაგ: ყველაზე კრეატიული, ყველაზე უინტერესო რეკლამები. მოცემული კომპლექსური დავალება დაეხმარა მოსწავლეებს შეეფასებინათ, რამდენად შემოქმედებითად არის დამზადებული სატელევიზიო რეკლამები. კომპლექსური დავალებების გარდა მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას ასევე ხელს უწყობს სასწავლო პროექტები და კლუბები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება, რომ მოსწავლეთა ინიციატივითა და უცხო ენების კათედრის ხელშეწყობით, შექმნილია „უცხო ენების მოყვარულთა კლუბი“, რომლის დევიზია „,რამდენი ენაც იცი, იმდენი ადამიანი ხარ“. კლუბი ინიცირებულია და მის საქმიანობაში ჩართული არიან მეცხრე -მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები. კლუბის მიზნებია: მოსწავლეების შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა საზღვარგარეთის ლიტერატურის უფრო ახლოს და სიღრმისეულად გაცნობაში, მთარგმნელობითი საქმიანობის დაწყებასა და ლიტერატურული საღამოების მოწყობაში. ინგლისური ენის მასწავლებელს დაგეგმილი აქვს პროექტის განხორციელება, სახელწოდებით „სასკოლო ტელევიზია“. პროექტის გეგმის მიხედვით, მოსწავლეებს დაევალებათ ინგლისურ ენაზე, სიუჟეტების მოწყობა სხვადასხვა თემაზე; ასევე გათვალისწინებულია ფილმების ჩვენება, დისკუსიები, ინტერვიუები და სხვა აქტივობები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
სკოლის მიერ შემუშავებულ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, სასწავლო თემები მოსწავლეებისთვის ნაცნობ შინაარსებსა და კონტექსტებთან არის დაკავშირებული, რომელიც მოსწავლეს წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. კურიკულუმი კომპლექსური დავალების სასწავლო პროცესში გამოყენებას ითვალისწინებს. კონსტრუქტივიზმის შემდეგი პრინციპი - წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის აგება უზრუნველყოფილია, რადგან კომპლექსური დავალების ბუნება თავისთავად ითხოვს მოსწავლისგან წინარე ცოდნას, ყოველი მომდევნო ნაბიჯის წარმართვა წინა ნაბიჯების დროს მიღებულ ცოდნას უკავშირდება. საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერების საგნის მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში მოიყვანეს მაგალითები, თუ როგორ ახდენს დავალების ყოველ ახალ, მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნისა და გამოცდილებაზე ახალი ცოდნის დაშენებას, უკავშირებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ახდენს ცოდნის ტრანსფერს.მასწავლებელთა გამოცდილება, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა (სკოლის თვითშეფასების განაცხადი, საგნობრივი კურიკულუმები) და მასწავლებლებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, რომ საფუძვლიანი სწავლის, ცოდნის მიღების, გათავისებისთვის მნიშვნელოვანია იმ მეთოდების მიდგომების სტრატეგიების გამოყენება, რაც დაეხმარება მოსწავლეს სწავლის პროცესში. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს ასწავლონ, როგორ ისწავლონ. ამისთვის იყენებენ მათთვის მისაღებ სხვადასხვა სასურველ სტრატეგიებს, აქტივობებს, მეთოდებს, რომლებიც დაეხმარება მათ სწავლის დროს. კომპლექსური დავალებები ამის საუკეთესო საშუალებაა. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სავალდებულოა მოსწავლეს განუვითარდეს გამჭოლი უნარები და ღირებულებები მათ შორის პერსონალური და სოციალური. უმნიშვნელოვანესია სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეს განუვითრდეს სწავლის სწავლის კომპეტენცია, შეძლოს საკუთარი სწავლის მონიტორინგი. მოსწავლეს უწევს თავის ძლიერ და სუსტ მხარეებზე დაკვირვება, რა გამოუვიდა კარგად, რა სტრატეგიებს შეიმუშავებს მომავალში მსგავსი ტიპის სხვა დავალებების შესრულებისას. მეტაკოგნიციის უნარს ავითარებს დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი სხვადასხვა სასწავლო პროექტი, რომლის განხორციელებისას მოსწავლეებს უვითარდებათ ინფორმაციის მიღების, გადამუშავების უნარი. საკვანძო შეკითხვები მოსწავლეს უიოლებს ცოდნის მიღების პროცესს. სასწავლო პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის გამოცდილებასა და ცნობისმოყვარეობას და პოზიტიური უკუკავშირის სახით წაახალისებს და მხარს უჭერს მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებს (რა შეასრულა კარგად, რამ მოუტანა წარმატება და რა აქვს მომავლისთვის გასათვალისწინებელი) ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს.მაგ.გამსვლელი ბარათები,მოსწავლის თვითშეფასება, მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური,კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეები შესაბამისად აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

მასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ გაკვეთილებზე მიღებული თეორიული ცოდნა მოსწავლემ გამოიყენოს ცხოვრებაში. ბუნებისმეტყველებაში მიღებულ თეორიულ ცოდნას უკავშირებენ რეალურ ცხოვრებისეულ მოვლენებს, მაგ: რა სჭირდება მცენარეს ზრდა-განვითარებისთვის, თეორიული ცოდნას გამოცდიან პრაქტიკაში, როცა ატარებენ კვლევას. მოსწავლეები თესავენ მარცვლეულს (ხორბალი, ლობიო) და დგამენ მზიან და ჩრდიალიან ადგილას. აკვირდებიან, რომელს რა ემართება გარკვეული დროის შემდეგ. რა ემართება მორწყვისა თუ მოურწყველობის შემდეგ. ჩანაწერებს აკეთებენ წიგნაკში. შეგროვებულ მონაცემებს აფასებენ და გამოაქვთ დასკვნები. მომავალი წლის კურიკულუმში გათვალისწინებულია, კომპლექსური დავალებების განხორციელების რაოდენობის გაზრდა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარებას. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში მოსწავლეებს თეორიული ცოდნა გადააქვთ პრაქტიკაში, რაშიც გვეხმარება კომპლექსური დავალებები, პროექტებით სწავლება, პრობლემების აღმოფხვრაზე ორიენტირებული აქტივობები. .“ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებითი კლასების სასწავლო კურიკულუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და შესაბამისობაში მის მოთხოვნებთან. **რჩევა:** მიზანშეწონილია სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტში/ლაბორატორიაში ახალი, თანამედროვე რესურსის, კერძოდ: ფიზიკაში: მათემატიკური ქანქარა, ელექტრული წრედის შემადგენელი ელემენტები, გამტარები, გამზომი ხელსაწყოები: ამპერმეტრი, ვოლტმერი. ბიოოგიაში: ადამიანის ჩონჩხი და მისი ნაწილები. ქიმიაში: სინჯარები კოლბები, მარტივი ნივთიერებები, თერმომეტრი, სასწორი ნივთიერებების მასების გასაზომად.- შეძენასთან დაკავშირებით. ასევე, სკოლამ უნდა იზრუნოს საბუნებისმეტყველო კაბინეტის/ლაბორატორიის მოწყობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ცოდნის ურთიერთდაკავშირებას, ამა თუ იმ ცოდნის გამოყენებას სხვა საკითხთან მიმართებით. საგანთა შორის კავშირის გამოყენებით, კათედრების თანამშრომლობით და ერთობლივი მუშაობით პედაგოგები აღწევენ მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ცდილობენ კურიკულუმებში დაგეგმონ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს გამოადგება მიღებული თეორიული ცოდნის სხვა საგნებში გამოყენებაში. ამ მიზნით, სკოლის დაწყებით საფეხურზე ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, სადაც მოსწავლეს სჭირდება ცოდნის ორგანიზება და სხვადასხვა საგანში მიღებული გამოცდილების დაკავშირება ერთმანეთთან. მსგავსი ტიპის გაკვეთილები იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა დაინახონ საგანთაშორის კავშირი და სწავლება, როგორც ერთიანი პროცესი. დაწყებითი კლასების მასწავლებლები (VII-IX) საკუთარ სადამრიგებლო კლასებს სხვადასხვა საგანს ასწავლიან. ეს ამარტივებს ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები მომავალი სასწავლო წლისათვის უფრო მეტი ინტეგრირებული დავალების შექმნას გეგმავენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
2. სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
3. კომპლექსური დავალების ნაშრომები (Power Point-ის პრეზენტაციები ინგლისური);
4. კლუბის წესდება (უცხო ენების მოყვარულთა კლუბი);
5. პროექტის გეგმა „სკოლის ტელევიზია“ (ინგლისური);
6. სასწავლო პროექტი ,,ახალი წელი''
7. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
8. მოსწავლის პორთფოლიო
9. სკოლის თვითშეფასების ფორმა
10. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ ყველა კლასის კურიკულუმებში იფარება ყველა სამიზნე ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოავლინეს ცოდნა სამიზნე ცნაბასა და მკვიდრ წარმოდგენას, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის კავშირის შესახებ. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ გასაუმჯობესებელი მხარეები და გამოწვევები. სკოლას აქვს მზაობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათვისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“. VII-IX კლასების ყველა პედაგოგმა გაიარა შესაბამისი ტრენინგები, იმუშავა საგნობრივ ექსპერტებთან და შექმნა საგნობრივი კურიკულუმები და კომპლექსური დავალების მატრიცები, რომელიც კონკრეტული სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას უწყობს ხელს. დანერგვასთან ერთად პარალელურად მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა პედაგოგებს შორის.

2023-2024 სასწავლო წელი დაიგეგმა მიღებული უკუკავშირისა და განვლილი მუშაობის ანალიზის საფუძველზე - მასწავლებლის, მშობლისა და სკოლის ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობით. მაგალითად, მეშვიდე კლასში ბიოლოგიის მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნო კომპლექსური დავალების პირობა „ხერხემლიან ცხოველების შეგუებლუობა წყალში ცხოვრებაში“. მათთან ერთად სიღრმისეულად გაიაზრა და დაამუშავა, ამ დავალების სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. შექმნა საბოლოო პროდუქტი ელექტრონული პრეზენტაციების სახით, რომელშიც აისახა დავალებით გათვალისწინებული სანიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებელმა მოსწავლეები შეაფასა სოლოტაქსონომიით. მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად გააანალიზეს, რამდენად ესადაგებოდა მიზანი მიღებულ შედეგს.მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით დაიგეგმა გასაუმჯობესებელი ინტერვენციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სასწავლო პროცესი, მისი დაგეგმვა და განხორციელება ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო - სოციალურ განვითარებას.საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის საგნობრივ კურიკულუმში (გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა) საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის თვითშეფასების მტკიცებულებაც ადასტურებს ზემოაღნიშნულს, ამავე დოკუმეტში ვკითხულობთ: ,, გაკვეთილებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას, სწორ კომუნიკაციას. ამ მიმართულებით მასწავლებლები წარმატებით იყენებენ სხვადასხვა აქტივობას, როგორიცაა მსჯელობა, კამათი, დისკუსია, დებატების ხელოვნება.“ ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ განხორციელებული აქვთ როგორც სასკოლო ასევე საგნის ჭრილში პროექტები, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა აქტივობასა და მეთოდებს(სურათებს, ილუსტრაციებს, როლურ თამაშებს, პრეზენტაციებს, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს,წიგნების კითხვას, ფილმების ჩვენებას) რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები და აქტივობები მოსწავლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეხმარება კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში,რომლებიც საბოლოოდ ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ-სოციალურ განვითარებას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების

მხარდაჭე-რაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზით გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ სასწავლო პროცესიც, არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლა, არამედ ის თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების მიხედვით ფასდება როგორც მოსწავლის აკადემიური ასევე მაღალი სააზროვნო უნარები (კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელო-ბა), მასწავლებლებლები შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ ინტერვენციებსა და სამომავლო საქმიანობას. დაგეგმილი ინტერვენციები ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. შეფასება ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, მოსწვალის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებელია**

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის თვითშეფასებიდან წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტებიდან და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუდან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. სკოლას ნიმუშად აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით; თუმცა მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის ერთობლივად გეგმავენ შეიმუშაონ უფრო კონკრეტული და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი) მასწავლებლემბა ინტერვიუს მიმდინარეობის ისაუბრეს, რომ კათედრის სხდომებზე ერთობლივად მოხდა შეფასების გამჭვირვალობისა და სანდოობის გამომხატველი კრიტერიუმების შემუშავება . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ვერიფიკაციის ამოცანებია: ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან; ბ) მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღწევების ანალიზი; გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. წინა წლის გამოცდილებით ვერიფიკაციის მექანიზმს სკოლაში გაკვეთილზე დასწრებით, დაკვირვებით, შეფასების რუბრიკებითა და ერთეულ შემთხვევებში დიაგნოსტიკური ტესტებით ახორციელებენ. სკოლის ერთ-ერთი პრაქტიკაა სემესტრული და წლიური გამოფენები, სადაც გამოკვეთილია მოსწავლეების შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი. გამოფენები ცხადყოფს მოსწავლეებში გამჭოლი, კომპეტენტური უნარების განვითარებას. წარმოდგენილი ნაშრომები ფასდება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით. მშობელს მოსწავლის შეფასება რეგულარულად ეცნობება, როგორც პირისპირ შეხვედრებისას, ასევე, ელექტრონული რესურსების გამოყენებით.ვერიფიკაციის ეფექტურად განსახორციელებლად სკოლა გეგმავს დანერგოს მოსწავლეების პორტფოლიოების წარმოება. მეტად დაზუსტდება შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, მათი გათვალისწინება.

2023-2024 სასწავლო წლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლა გეგმავს გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდების/დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ან სემესტრული გამოცდის ჩატარება, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები თავის ფუნქციებს განახორციელებენ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. შესაბამისად სკოლის მიერ წარმოდენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს შორის არ არის მტკიცებულება იმისა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით, თუმცა სკოლა ადასტურებს მზაობას განახორციელოს მონაცემების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლისვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები
2. შეფასების რუბრიკები (უცხო ენები)
3. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.

სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლაში არის დაცული ურთიერთ პატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, სკოლაში თვალსაჩინოა თანამშრომლობითი, ჯანსაღი, დემოკრატიული, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული, პოზიტიური კლიმატი, რაც გამოიკვეთა სკოლასთან გასაუბრების დროს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს გრძნობს თანაწორად . წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამები და შეხვედრის ოქმები ცხადყოფს რომ პედაგოგები აქტიურად ეკონტაქტებიან მშობლებს, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი საკითხები და მიდგომები მაქსიმალურადაა ორიენტირებული მოსწავლეზე, პრიორიტეტია სწავლა სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა, მოტივაციის გაზრდა, დისციპლინა ზრუნვა და მხარდაჭერა განაპირობებს მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ წინსვლას და უზრუნველყოფს უპირობოდ მიმღებლობით გარემოს შექმნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.კომპლექსური დავალება აძლევს საშუალებას მოსწავლეს მართოს საკუთარი სწავლების პროცესი, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით და ახალი უნარების აღმოჩენით აძლევს შესაძლებლობას იმუშაოს დამოუკიდებლად, რათა მოხდეს თეორიული მასალის პრაკტიკაში გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს, წარმოდგენილი მასწავლებლის და მოსწავლის პორთფოლიოები გვაძლევს საშუალებას დავაზუსტოთ რომ, მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა სახის ღონისძიებებში და პროექტებში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი არის ორიენტირებლი მოსწავლის მუდმივ წინსვლაზე და განვითარებაზე, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების გარემოს შექმნაზე. განხორციელებულ მაგალითებს შორისაა -სასწავლო პროცესის მონიტორინგისთვის საუკეთესო მექანიზმი დიაგნოსტიკური წერების ჩატარება, IV და VI კლასებში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით. მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის საუკეთესო მაგალითია სასკოლო კლუბების ფუნქციონირება. ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, კინოკლუბი, კლუბი ,,ხელოვანი პატარები“. ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი - „სამოთხის გვრიტები“. „მოქალაქის გზა, მათემატიკის შემსწავლელთა კლუბი, დებატთა კლუბი.ელექტრონული გაზეთი „ნომერი 32“.რომლის ჩამოყალიბების იდეა მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სრულყვეს მასწავლებლებმა. მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა ინიციატივით ტარდება არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებები. თანამშრომლობითი კულტურა, მშობლებისა და მოსწავლეების აქტიურობა სასკოლო ცხოვრებაში, რასაც ხელი შეუწყო USAID-ის საბაზისო პროექტის ფარგლებში ჩართულობამ. სასწავლო წლის დასაწყისში ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასისათვის იქმნება სადამრიგებლო პროგრამა და კლასგარეშე აქტივობები. შესაბამისად სასკოლო სასწავლო წლის კურიკულუმი იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე ორიენტირებულად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კოლეგები ყოველდღიურ შეხვედრებზე, კათედრის სხომებზე, არაფორმალურ შეხვედრებზე უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის შეხედულებებს, ხდება მოსწავლეებთან აქტიური კომუნიკაცია, პედაგოგთა შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. ურთიერთანამშრომლობის კულტურა გამოიხატება სხვადასხვა გზებით, როგორიცაა: ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება, ფოკუსირებული დასწრებები. სასკოლო კულტურისა და კლიმატის განუყოფელი ნაწილია მშობლებთან თანამშრომლობა/კომუნიკაცია. სასკოლო ცხოვრებაში, ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების დროს გადაწყვეტილების მიღება ხდება გუნდურობის პრინციპით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის მიხედვით და დიფერენცირებული მიდგომებით, სასკოლო საზოგადოების სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობით, სათანადოთ უზრუნველყოფილია სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატი ყველა დონეზე. მოსწავლეთა განვითარებისთვის სკოლაში არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფიზიკური გარემო, დაცულია უსაფრთხოება(როგორც ფიზიკური, ასევე სოციალურ-ემოციური). მრავალფეროვანი აქტივობები ეძღვნება ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას ასე მაგ. სკოლაში სწავლობს 13 ეთნოსის წარმომადგენელი. სახელმწიფო ენის დღე განსაკუთრებული დამოკიდებულებით აღინიშნა. მოსწავლეებმა მშობლიურ და ქართულ ენებზე დაწერეს მათთვის საინტერესო ფრაზები, ტექსტები, სიტყვები, ეს და სხვა მრავალი ინიციატივები წახალისებულია და მნიშვნელოვანი ფაქტორია შემდგომში სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. სკოლა გეგმავს სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში მოსწავლეებმა მეტად მიიღონ მონაწილეობა რაც სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდას გაზრდის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- კურიკულუმები;
- მშობლის უკუკავშირი;
- დიაგნოსტიკური ტესტი;
- მასწავლებლის ქეისი სსსმ მოსწავლეზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოსწავლის პორტფოლიო;
- მასწავლებლის პორთფოლიო
- სადამრიგებლო პროგრამა;
- კლასარეშე აქტივობის გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი
- კლასის დამრიგებლის პროგრამა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წლები;
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა გეგმავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმუშავოს აღნიშნული დოკუმენტის საბოლოო ფორმულირებაზე , თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, ასევე, ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

რჩევა:სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურების დეტალურად გაწერა მეთოდოლოგიაში. აღნიშნულ დოკუმენტში მნიშვნელოვანია ჩანდეს, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებასა და მონიტორინგს? რა ინსტრუმენტებზე დაყრდნობით წარიმართება შეფასება და მონიტორინგი? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას - თუ რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. გაწერილია ,როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით,ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა აცხადებს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში?(მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი?(შეფასება). სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა - ანალიზზე დაფუძნებით ,რომელშიც ჩართული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წევრები.სკოლას აქვს სამომავლო ხედვა და მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

2. სკოლის თვითშეფასების ფორმა

3.მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის N2 სხდომის ოქმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>1.მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს,</u> გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; სკოლა ახორციელებს შეფასების სხვადასხვა ტიპებს: განმავითარე-ბელი და განმსაზღვრელი. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის პრობლე-მის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვა-ნია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობისეული ცოდ-ნის გათვალისწინებით. ამის დასტურია კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მოსწავლეთა შფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით მათ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს როგორც სასკოლო ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად ხდება მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების ტიპები და კრიტერიუმები. შესაბამისად, **. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელ-დება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას მონაცემთა შეგროვებისათვის, მასწავლებლები მიმართავენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, კლასის საათზე მოსწავლეთა გამოკითხვას, მშობელთა კრებებზე პრობლემური საკითხების განხილვას, ხდება მონაცემების გაანალიზება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეაფსებას. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება. დაგეგმილია მოსწავლეებზე დაკვირვება და ამ დაკვირვების შედეგების საფუძველზე მიღებული შედეგების გაანალიზებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებელად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (პროექტის მომზადება, ესეს დაწერა, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები გეგმავენ, შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე. სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას: საკლასო და საშინაო დავალები და შემაჯამებელი შეფასებები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ხორციელდება აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ..

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლის მიერ წარმოდგენილი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, ითვალისწინებს შიდა მონიტორინგის სისტემას, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპიან ციკლს (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე). განვითარების ეტაპის გულისხმობს ნაკლოვანებების მიზეზების განსაზღვრას და მათი აღმოფხვრისთვის რეკომენდაციების შემუშავებას.

როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დირექციის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე, მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, გაკვეთილზე დასწრების გზით. მათი მხრიდან მასწავლებლების მიმართ გაცემული განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რომელიც გავლენას ახდენს კურიკულუმის შემუშავების პროცესზე და გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის დონეზე. მასწავლებლები, კათედრების ფარგლებშიც, ესწრებიან და განიხილავენ ერთმანეთის გაკვეთილებს. აძლევენ ერთმანეთს განმავითარებელ უკუკავშირს, რომელიც ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერისთვის. სკოლაში, კათედრების დონეზე ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის დროსაც საგნობრივი ჯგუფების მიხედვით გაანალიზდება კურიკულუმის დანერგვის პროცესი და გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებაში მასწავლებელი შეიმუშავებს რეკომენდაციებს. მთლიანობაში, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, სკოლაში დამკვიდრებული, შეფასების სხვადასხვა პრაქტიკის ერთობლიობა წარმოადგენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

როგორც სკოლა თვითშეფასების ფორმაში მიუთითებს და ვიზიტის დროს აღინიშნა, ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. კათედრების ფარგლებში განიხილება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებები: კერძოდ, კომპლექსური დავალების შექმნის მიზნით დაგეგმილი აქტივობებიდან რომელმა გაამართლა/არ გაამართლა, რა იყო ამის მიზეზი. მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას წინა წლის კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს, მაგ: წარმატებული გამოცდილების მიხედვით არჩევენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
2. დანართი N84 (სადიაგნოსტიკო შეფასებები);
3. დანართი N85 (სვოტ ანალიზი);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[x] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენ შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; კურიკულუმის განვითარების ეტაპებსა და პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი.კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფმა სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმა და განახორციელა შეხვედრები, რომელებიც ემსახურებოდა მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებას. შემუშავებული გაზიარდა კათედრის სხდომაზე, სკოლის დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს. არსებული მეთოდოლოგია სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მუშაობის პროცესში საზოგადოებას შესთავაზოს შექმნისა და გაზიარების სრულყოფილი მეთოდოლოგიური დოკუმენტი მოსწავლეების და მშობლების აქტიური ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი რომ გახდეს მკაფიო, სკოლის ხელმძღვანელობის მიერ გათვალისწინებელი იქნება მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვა, გამოცდილება და უკუკავშირები, სასკოლო საზოგადოების შესაძლებლობები, შეხვედრები დაწყებითი საფეხურის მშობელთა კლუბის წევრებთან, როგორც დასწრებული, ასევე დაუსწრებელი ფორმით (TEAMS ჯგუფები). სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ინტერესები, აქტუალური საკითხები გათვალისწინებული იქნება და მოერგება სასკოლო საზოგადოების ინტერესებს.

კურიკულუმის საბოლოო ვერსია შეთანხმდა კათედრის სხდომაზე, რომელიც წარედგინა დირექციას. კურიკულუმის თითოეულ აქტივობასა და კომპლექსურ დავალებაში პედაგოგებს დეტალურად აქვთწარმოდგენილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნები შემუშავდა სასკოლო საზოგადოების აზრის შეჯერების გზით. მასწავლებლის მხრიდან კურიკულუმით განისაზღვრა, რომ უპირატესობა მინიჭებოდა თანამედროვე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაზრდიდა მოსწავლეთა დაინტერესებასა და ჩართულობას. პედაგოგის მხრიდან გათვალისწინებულია აუდიო, ვიდეო და პრეზენტაციის სახით მიწოდებული რესურსები. კურიკულუმის შედეგების ანალიზისათვის პედაგოგის მხრიდან გამოყენებულია განმავითარებელი შეფასება. შეფასებები გამოირჩება პოზიტიური დამოკიდებულებით. აქცენტი გაკეთებულია მოსწავლის მიღწევაზე და კომენტარები ეხმარება მოსწავლეებს სირთულეების მიგნებასა და მათ გამოსწორებაში. კურიკულუმის მიღწევის დონის დიაგნოსტირებისათვის პედაგოგის მხრიდან გაანალიზდა თითოეული კომპლექსური დავალებისა, აქტივობისა და პროექტის შედეგები და მუშაობის პროცესი და ამ შედეგების ანალიზის გათვალისწინებით დაიგეგმება ამ საგნის მომავალი წლის კურიკულუმი. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გაგება-კვლევისათვის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარეს მშობელთა კრებები და ზეპირი გამოკითხვის გზით გაიზიარეს მშობელთა მოსაზრებები ბავშვების ინტერესების შესახებ. მშობელთა აზრის გათვალისწინებით მათ შეიმუშავეს საგნის კურიკულუმები. შეხდევრებზე მიღებული ინფორმაციების გათვალისწინებით, აქცენტი გაკეთდა აღმოჩენებით სწავლების მეთოდზე. სამომავლოდ დაგეგმილია ინფორმაციის შეგროვებისათვის მეტად დაინერგოს ციფრული გამოკითხვის საშუალებები, დაგეგმილია ინფორმაციის შეგროვებისათვის ციფრული გამოკითხვის საშუალებების (forms- ის) გამოყენება, რომლებიც დაიეხმარება პედაგოგს უფრო სწრაფად და ეფექტურად შეიტყოს მოსწავლეთამ მშობელთა და კოლეგათა ინტერესი და მოახდინოს მონაცემების ანალიზი. მეთოდოლოგიის მიხედვით, კათედრის თავჯდომარე უზრუნველყოფს კათედრების სხდომების ჩატარებას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, მსჯელობს კოლეგებთან ახალი სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებზე, კომპლექსურ დავალებებზე, სასწავლო რესურსებზე და სწავლების მეთოდებზე, აგროვებს კათედრების წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს, თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან და მონაწილეობას იღებს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. სკოლის დირექცია კურიკულუმის დანერგვის პროცესში ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის პროცესს.

კურიკულუმის დანერგვის პროცესში პედაგოგი კლასის ყველა მოსწავლეს ეხმარება შუალედურ სასწავლო მიზნების დაძლევაში პარალელურად კი, ინიშნავს აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება ცოდნის კონსტრუეირების პროცესში. სასწავლო თემაზე მუშაოების პროცესში იმართება კათედრის სულ ცოტა ერთი სხდომა, სადაც პარალელური კლასის მასწავლებლები თანხმდებიან რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს იგივე თემის სწავლების პროცესში. მუშაობის შედეგებს ონლაინ პლატფორმების საშუალებით უზიარებენ მშობლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი ითვალისწინებს კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას, იგი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია. რაც შეეხება კვლევას და შეფასებას, ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით, მათ შორის, მასწავლებლების პროფესიული განვითარების, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირების, და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კუთხით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლაში კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრების სრული ჩართულობით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, სკოლის კონკრეტული საჭიროებები. კურიკულუმის შექმნის დროს აგრეთვე ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს საფეხურების მიხედვით კურიკულუმებში სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები ცნებების მიხედვით, მოიფიქრეს საკვანძო შეკითხვები და აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექციამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების ჩართულობით შემუშავებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და გამომდინარეობს სასკოლო საზოგადოების მიერ შექმნილი მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან. ინტერვიუში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო აქტივობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებიულია სასკოლო კურიკულუმი. მშობლებს კომპლექსური ბარათების საშუალებით აცნობდნენ დავალებებს და იღებენ მათ უკუკავშირს. ასევე მოსწავლეების მიერ შექმნილ კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტებს უზიარებდნენ მშობლებს და ისმენდნენ მათ შეფასებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, კურიკულუმის გაზირებისთვის იყენებენ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებს, მათ შორის, ფეისბუქის და თიმსის ჯგუფებს. აღნიშნულის საშუალებით მშობელსა და მოსწავლეს წვდომა აქვს საკუთარი სკოლის სასწავლო გეგმაზე. 2023-2024 სასწავლო წლიდან კი ვებ-გვერდის საშუალებით შეიქმნება ახალი საკომუნიკაციო პლატფორმა, სადაც მოხდება სასწავლო პროცესისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაზიარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლამ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში, წარმოადგინა ყველა კლასის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც გაწერილია თემა, სამიზნე ცნება და რესურსები, რიგ შემთხვევაში კომპლექსური დავალების პირობაც. კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. მათემატიკის კათედრისთვის მოსწავლეთა შეფასება არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის, დაგეგმილის განხორციელებისა და შემდგომ უკვე მის შეფასება განვითარებისათვის. კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, მათი მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისად, კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარების, „ჰოლისტური“ მიდგომების განვითარება - ყველა მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებლები არიან ამ ცოდნის მხარდამჭერი. რისთვისაც ცდილობენ იყვნენ თანმიმდევრულები, აქტივობებისა და დავალებების რაოდენობა იყოს ზომიერი და მათი შესაძლებლობების შესაბამისი. ეროვნული სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 ფუნქციურ-კომპონენტური უნარი მეტ-ნაკლებად ასახული და ჩაშლილია კომპლექსურ დავალებებში. (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა). მაგალითად, მეთერთმეტე კლასის, ინგლისური ენის კურიკულუმში, სასწავლო თემის „ურთიერთობები“ ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ პრეზენტაციის მომზადება, ბრიტანული და ქართული სიმღერის შესახებ, რომლებიც ურთიერთობებს ეძღვნება, რომელშიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეები უცხოურ და ქართულ სიმღერებს აღწერენ; უცხოური და ქართული სიმღერის მსგავსება-განსხვავებაზე ისაუბრებენ. მოცემული კომპლექსური დავალება, ერთის მხრივ მიემართება უცხო ენების სავალდებულო თემატურ ჩარჩოს, მეორეს მხრივ კი ავითარებს კრიტიკულ აზროვნების, კომუნიკაციისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის უნარ-ჩვევებს. მოცემული კომპლექსური დავალება ფარავს, მეორე უცხო ენის, საშუალოს საფეხურის, სტანდარტის სავალდებულო თემატურ ბლოკს(კულტურული მოვლენები), ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე (ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება, კულტურათა დიალოგი) და ავითარებს მოსწავლეებში უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის გეგმის შესაბამისად გეგმავს უზრუნველყოს თანაბარ ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი ყველა მოსწავლისთვის, რაც თავის მხრივ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებას გულისხმობს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას, წარმოდგენილი თემატური ერთეულების, ინდ. გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინ-კლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ, აქვთ გამოცდილება, რომ ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ სამომავლოდ კურიკულუმის ადაპტირება. 2021-2022 სასწავლო წლიდან ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგებითა და სამუშაო შეხვედრებით მასწავლებლებმა უკეთ გაიაზრეს დიფერენცირების არსი და მისი პრაქტიკაში გადმოტანა. ხოლო მიმდინარე წლიდან კი სკოლაში ,,მრავალშრიანი მხარდაჭერის სისტემის MTSS" საპილოტე პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების შემდეგ განხორციელდა დიაგნოსტიკური ტესტირება, ექსპერტის უკუკავშირისა და ტესტირების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მოსწავლეთა საჭიროებები. მასწავლებლებთან გასაუბრებამაც დაადასტურა სკოლის პრაქტიკული გამოცდილება დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მიმართულებით. მათ ისაუბრეს კურიკულუმებში თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნის შესახებ, სასწავლო პროცესში გამოყენებულ მოსწავლეთა შესაძლებლობებზე და ინტერესებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ესგ-ს მოთხოვნიდან გამომდინარე, საშუალო საფეხურზე (X-XI კლ.) გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. პედაგოგების აზრით, მოსწავლეთა შეფასება ითვალისწინებს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას, რაც საბოლოოდ მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშემწყობი პროცესია. შეფასების ყველა მექანიზმი მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისი რუბრიკები სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და შუალედური მიზნების შედეგზე გადის. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების დროს გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის უნიკალურობა თავისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით; სკოლაში მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები/ღონისძიებები/კომპლექსური დავალებები ზრდის მოსწავლის პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

შეფასების ძირითადი ამოცანებია, გაუმარტივოს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, დაეხმაროს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებაში, გადაადგმევინოს გააზრებული და ეფექტიანი ნაბიჯები წინსვლის ხელშესაწყობად, გამოიყენოს მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება და აჩვენოს ცოდნის ფუნქციური გამოყენების მნიშვნელობა მრავალფეროვან კონტექსტში. საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება მოსწავლის განვითარების დინამიკას, ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და აღწერს სწავლის შედეგებს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნიდან გამომდინარე. შეფასების ორივე ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ, რომელიც მყისიერად გაცემული უკუკავშირისა და მოსწავლის რეფლექსიის გათვალისწინებით უპირობოდ ემსახურება მოსწავლის განვითარებას და სწავლის პროცესის გაუმჯობესებას. მოსწავლე აქტიურად არის ჩართული შეფასების რუბრიკების შექნისა და დამუშავების პროცესში. რითაც იზრდება მოსწავლის მიკუთვნებულობის ხარისხი და შეფასებას განსხვავებულ მნიშვნელობას სძენს. თავად მოსწავლე აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში. გაკვეთილზე მოსწავლეები აკეთებენ ურთიერთშეფასებას, რის საფუძველზეც მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

რჩევა: მიზანშეწონილია **საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში** აღწერილი კონტექსტ მაგალითების შესაბამისად შეიქმას განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილი იქნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების სახით.

მიზანშეწონილია **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში** მასწავლებლებმა შექმნან კურიკულუმებში შეტანილი თემების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის თვითშეფასების ფორმაში გვხვდება შემდეგი ჩანაწერი, რომლის მიხედვით კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა და შემდეგ სრულად პედსაბჭო, აჯამებს წლის განმავლობაში მოსწავლეების შედეგებს და მათი მიღწევების დონეებს, აფასებს სუსტ და ძლიერ მხარეებს, რაც ყოველი შემდგომი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დროს არის გათვალისწინებული. კათედრის შიგნით ხდება კურიკულუმების გადახედვა და ცვლილებების შეტანა. იგივე იკვეთება საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის შემაჯამებელ ოქმსა და ინტერვიუირებისას. დაგეგმვის პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღებას ამახვილებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. სკოლის თვითშეფასების ფორმა
5. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საშუალო საფეხურის სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების შესწავლისა და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებს შესთავაზოს ნაცნობი, მისი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მოსწავლეთა ინიციატივითა და უცხო ენების კათედრის ხელშეწყობით, შექმნილია „უცხო ენების მოყვარულთა კლუბი", რომლის დევიზია „,რამდენი ენაც იცი, იმდენი ადამიანი ხარ". კლუბი ინიცირებულია და მის საქმიანობაში ჩართული არიან მეცხრე -მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები. კლუბის მიზნებია: მოსწავლეების შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა საზღვარგარეთის ლიტერატურის უფრო ახლოს და სიღრმისეულად გაცნობაში, მთარგმნელობითი საქმიანობის დაწყებასა და ლიტერატურული საღამოების მოწყობაში. ინგლისური ენის მასწავლებელს დაგეგმილი აქვს პროექტის განხორციელება, სახელწოდებით „სასკოლო ტელევიზია". პროექტის გეგმის მიხედვით, მოსწავლეებს დაევალებათ ინგლისურ ენაზე, სიუჟეტების მოწყობა სხვადასხვა თემაზე; ასევე გათვალისწინებულია ფილმების ჩვენება, დისკუსიები, ინტერვიუები და სხვა აქტივობები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლის მიერ შემუშავებულ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, სასწავლო თემები მოსწავლეებისთვის ნაცნობ შინაარსებსა და კონტექსტებთან არის დაკავშირებული, რომელიც მოსწავლეს წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. კურიკულუმი კომპლექსური დავალების სასწავლო პროცესში გამოყენებას ითვალისწინებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა (სკოლის თვითშეფასების განაცხადი, საგნობრივი კურიკულუმები) და მასწავლებლებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, რომ საფუძვლიანი სწავლის, ცოდნის მიღების, გათავისებისთვის მნიშვნელოვანია იმ მეთოდების მიდგომების სტრატეგიების გამოყენება, რაც დაეხმარება მოსწავლეს სწავლის პროცესში. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს ასწავლონ, როგორ ისწავლონ. ამისთვის იყენებენ მათთვის მისაღებ სხვადასხვა სასურველ სტრატეგიებს, აქტივობებს, მეთოდებს, რომლებიც დაეხმარება მათ სწავლის დროს. კომპლექსური დავალებები ამის საუკეთესო საშუალებაა. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სავალდებულოა მოსწავლეს განუვითარდეს გამჭოლი უნარები და ღირებულებები მათ შორის პერსონალური და სოციალური. უმნიშვნელოვანესია სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეს განუვითრდეს სწავლის სწავლის კომპეტენცია, შეძლოს საკუთარი სწავლის მონიტორინგი. მოსწავლეს უწევს თავის ძლიერ და სუსტ მხარეებზე დაკვირვება, რა გამოუვიდა კარგად, რა სტრატეგიებს შეიმუშავებს მომავალში მსგავსი ტიპის სხვა დავალებების შესრულებისას. მეტაკოგნიციის უნარს ავითარებს დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი სხვადასხვა სასწავლო პროექტი, რომლის განხორციელებისას მოსწავლეებს უვითარდებათ ინფორმაციის მიღების, გადამუშავების უნარი. საკვანძო შეკითხვები მოსწავლეს უიოლებს ცოდნის მიღების პროცესს. სასწავლო პროცესში მასწავლებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს მოსწავლის გამოცდილებასა და ცნობისმოყვარეობას და პოზიტიური უკუკავშირის სახით წაახალისებს და მხარს უჭერს მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებს (რა შეასრულა კარგად, რამ მოუტანა წარმატება და რა აქვს მომავლისთვის გასათვალისწინებელი). პედაგოგები სასწავლო პროცესში განსაკურებულ აქცენტებს აკეთებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება. ამ გამოცდილების გაანალიზების პროცესს ხელს უწყობს მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობები, შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. პედაგოგების აზრით, დაწყებით საფეხურზე სწავლის სწავლა სირთულეებთან არის დაკავშირებული თუმცა, პირველივე კლასიდან დაწყებით საფეხურზე ხდება ამ პროცესზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მარტივი აქტივობებით, მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. მეტაკოგნიციაზე აქცენტი კარგად იკვეთება მოსწავლისთვის მისაცემ დავალებებსა და აქტივობებში, მათი შეფასების მექანიზმებში, როგორიცაა თანატოლთა შეფასება, თვითშეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში(გეოგრაფია, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა) შეტანილ კომპლექსურ დავალებებში კარგად ჩანს ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა. მოსწავლეები ამზადებენ ისეთ დავალებებს,როგორიცაა: კომიქსი, პერსონაჟის რუკა, ადგენენ ამოცანის პირობას, ამზადებენ პოსტერს და ა.შ.“ ინტერვიურებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, როგორც აღნიშნეს მათთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე რატომ ვისწავლე ეს თემა? ამ მიმართლებით სკოლას აქვს გამოცდილება და მზაოა. **რჩევა:** მიზანშეწონილია სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტში/ლაბორატორიაში ახალი, თანამედროვე რესურსის, კერძოდ: ფიზიკაში: მათემატიკური ქანქარა, ელექტრული წრედის შემადგენელი ელემენტები, გამტარები, გამზომი ხელსაწყოები: ამპერმეტრი, ვოლტმერი. ბიოოგიაში: ადამიანის ჩონჩხი და მისი ნაწილები. ქიმიაში: სინჯარები კოლბები, მარტივი ნივთიერებები, თერმომეტრი, სასწორი ნივთიერებების მასების გასაზომად.- შეძენასთან დაკავშირებით. ასევე, სკოლამ უნდა იზრუნოს საბუნებისმეტყველო კაბინეტის/ლაბორატორიის მოწყობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.**სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**.

მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ცოდნის ურთიერთდაკავშირებას, ამა თუ იმ ცოდნის გამოყენებას სხვა საკითხთან მიმართებით. საგანთა შორის კავშირის გამოყენებით, კათედრების თანამშრომლობით და ერთობლივი მუშაობით პედაგოგები აღწევენ მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ცდილობენ კურიკულუმებში დაგეგმონ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს გამოადგება მიღებული თეორიული ცოდნის სხვა საგნებში გამოყენებაში. ამ მიზნით, სკოლის დაწყებით საფეხურზე ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, სადაც მოსწავლეს სჭირდება ცოდნის ორგანიზება და სხვადასხვა საგანში მიღებული გამოცდილების დაკავშირება ერთმანეთთან. მსგავსი ტიპის გაკვეთილები იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა დაინახონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანთაშორის კავშირი და სწავლება, როგორც ერთიანი პროცესი. დაწყებითი კლასების მასწავლებლები (X-XI) საკუთარ სადამრიგებლო კლასებს სხვადასხვა საგანს ასწავლიან. ეს ამარტივებს ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვასა და განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები მომავალი სასწავლო წლისათვის უფრო მეტი ინტეგრირებული დავალების შექმნას გეგმავენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2. .სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
3. კომპლექსური დავალების ნაშრომები (Power Point-ის პრეზენტაციები ინგლისური);
4. კლუბის წესდება (უცხო ენების მოყვარულთა კლუბი);
5. პროექტის გეგმა „სკოლის ტელევიზია“ (ინგლისური);
6. სკოლის თვითშეფასების ფორმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების შესწავლისა და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებს შესთავაზოს ნაცნობი, მისი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში დაგეგმილია შემლებისდაგვარად სტანდარტის ყველა შედეგის დამუშავება. ქვეცნებებსა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და საკითხებზე დაყრდნობით წარმოდგენილია ზოგიერთი კლასის კომპლექსური დავალების ნიმუშები. წარმოდგენილი დავალებები არის ცხოვრებისეული სიტუაციის ამსახველი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ალტერნატივების შემუშავება და არჩევანის გაკეთება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის მოტივაციას და მის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. მითითებულია შესაბამისი რესურსები. 2023-2024 სასწავლო წელი დაიგეგმა მიღებული უკუკავშირისა და განვლილი მუშაობის ანალიზის საფუძველზე - მასწავლებლის, მშობლისა და სკოლის ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობით. მაგალითად, მეშვიდე კლასში ბიოლოგიის მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნო კომპლექსური დავალების პირობა „ხერხემლიან ცხოველების შეგუებლუობა წყალში ცხოვრებაში“. მათთან ერთად სიღრმისეულად გაიაზრა და დაამუშავა, ამ დავალების სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. შექმნა საბოლოო პროდუქტი ელექტრონული პრეზენტაციების სახით, რომელშიც აისახა დავალებით გათვალისწინებული სანიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებელმა მოსწავლეები შეაფასა სოლოტაქსონომიით. მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად გააანალიზეს, რამდენად ესადაგებოდა მიზანი მიღებულ შედეგს. **ინდიკატორი. დაკმაყოფილებულია**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები, კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები, სწავლების სტრატეგიები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება მიემართება მოსწავლის ფსიქო-სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობას. სკოლის პრაქტიკაა მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვება და შესაბამისი ქცევის მხარდამჭერი გეგმის შემუშავება, სასკოლო და საკლასო პროექტების განხორციელება, რომელიც მოსწავლეების ემოციურ გააქტიურებას, ემპათიის, პასუხისმგებლობის, აქტიური მოქალაქისათვის დამახასიათებელი უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები. წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითშფასების განვითარებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, საკომუნიკაციო ამოცანის შეცვლა და სხვა, საკლასო აქტივობებს გეგმავენ ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ჯგუფური მუშაობის დროს თანამშრომლობითი/სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა. ამასთანავე მასწავლებლები უკუკავშირის დროს პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესის მიმართ. **2ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლაში შემუშავებულია შეფასების კონცეფცია, შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც მიზნებთან სრულ შესაბამისობაშია, მოიაზრებს მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებს. ყველა შედეგს მოყვება გაანალიზების პროცესი და სწავლის პროგრესის მონიტორინგი. მათი აზრით, აუცილებელია, რომ შეფასების სისტემა იყოს გამჭვირვალე. თითოეული გაკვეთილის თუ კომპლექსური დავალების შესაბამის შეფასების რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები და, შესაბამისად, მათთვის გამჭირვალეა აღნიშნული პროცესი, რაც დადებითად მოქმედებს მათ განვითარებაზე. აკვირდებიან მოსწავლეს დინამიკაში და აძლევენ საჭირო უკუკავშირს, რათა მოსწავლეებმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეძლონ შედეგების გაუმჯობესება. სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, მოსწავლეები ფასდებიან მიმდინარე (საკლასო, საშინაო) და შემაჯამებელი შეფასებებით. 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ დაგეგმავენ კათედრების შეხვედრას, იმ კონკრეტული მექანიზმების გაანალიზების მიზნით, რომელთა გამოყენებითაც შეფასების სისტემა ორიენტირებული იყო მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. გამოთქმული მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტებიდან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. სკოლას საფეხურზე ნიმუშად აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით; თუმცა მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის ერთობლივად გეგმავენ შეიმუშაონ უფრო კონკრეტული და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი) მასწავლებ ინტერვიუს მიმდინარეობის ისაუბრეს, რომ კათედრის სხდომებზე ერთობლივად მოხდა შეფასების გამჭვირვალობისა და სანდოობის გამომხატველი კრიტერიუმების შემუშავება . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

.სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ვერიფიკაციის ამოცანებია: ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან; ბ) მოსწავლის მიღწევების ანალიზი; გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. წინა წლის გამოცდილებით ვერიფიკაციის მექანიზმს სკოლაში გაკვეთილზე დასწრებით, დაკვირვებით, შეფასების რუბრიკებითა და ერთეულ შემთხვევებში დიაგნოსტიკური ტესტებით ახორციელებენ. სკოლის ერთ-ერთი პრაქტიკაა სემესტრული და წლიური გამოფენები, სადაც გამოკვეთილია მოსწავლეების შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი. გამოფენები ცხადყოფს მოსწავლეებში გამჭოლი, კომპეტენტური უნარების განვითარებას. წარმოდგენილი ნაშრომები ფასდება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით. მშობელს მოსწავლის შეფასება რეგულარულად ეცნობება, როგორც პირისპირ შეხვედრებისას, ასევე, ელექტრონული რესურსების გამოყენებით.ვერიფიკაციის ეფექტურად განსახორციელებლად სკოლა გეგმავს დანერგოს მოსწავლეების პორტფოლიოების წარმოება. მეტად დაზუსტდება შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, მათი გათვალისწინება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2023-2024 სასწავლო წლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლა გეგმავს გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდების/დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ან სემესტრული გამოცდის ჩატარება, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები თავის ფუნქციებს განახორციელებენ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. შესაბამისად სკოლის მიერ წარმოდენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს შორის არ არის მტკიცებულება იმისა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით, თუმცა სკოლა ადასტურებს მზაობას განახორციელოს მონაცემების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები
2. შეფასების რუბრიკები (უცხო ენები)
3. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები
4. სადამრიგებლო საათები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლაში არის დაცული ურთიერთ პატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, სკოლაში თვალსაჩინოა თანამშრომლობითი, ჯანსაღი, დემოკრატიული, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული, პოზიტიური კლიმატი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც გამოიკვეთა სკოლასთან გასაუბრების დროს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს გრძნობს თანაწორად . წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამები და შეხვედრის ოქმები ცხადყოფს რომ პედაგოგები აქტიურად ეკონტაქტებიან მშობლებს, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი საკითხები და მიდგომები მაქსიმალურადაა ორიენტირებული მოსწავლეზე, პრიორიტეტია სწავლა სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა, მოტივაციის გაზრდა, დისციპლინა ზრუნვა და მხარდაჭერა განაპირობებს მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ წინსვლას და უზრუნველყოფს უპირობოდ მიმღებლობით გარემოს შექმნას. ამ მონაცემებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
2.კომპლექსური დავალებააძლევს საშუალებას მოსწავლეს მართოს საკუთარი სწავლების პროცესი, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით და ახალი უნარების აღმოჩენით აძლევს შესაძლებლობას იმუშაოს დამოუკიდებლად, რათა მოხდეს თეორიული მასალის პრაკტიკაში გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს, წარმოდგენილი მასწავლებლის და მოსწავლის პორთფოლიოები გვაძლევს საშუაელბას დავაზუსტოთ რომ, მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა სახის ღონისძიებებში და პროექტებში.ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი არის ორიენტირებლი მოსწავლის მუდმივ წინსვლაზე და განვითარებაზე, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების გარემოს შექმნაზე. განხორციელებულ მაგალითებს შორისაა - სასწავლო პროცესის მონიტორინგისთვის საუკეთესო მექანიზმი დიაგნოსტიკური წერების ჩატარება, IV და VI კლასებში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით. მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის საუკეთესო მაგალითია სასკოლო კლუბების ფუნქციონირება. ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, კინოკლუბი, კლუბი ,,ხელოვანი პატარები“. ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი - „სამოთხის გვრიტები“. „მოქალაქის გზა, მათემატიკის შემსწავლელთა კლუბი, დებატთა კლუბი.ელექტრონული გაზეთი „ნომერი 32“.რომლის ჩამოყალიბების იდეა მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სრულყვეს მასწავლებლებმა. მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა ინიციატივით ტარდება არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებები. თანამშრომლობითი კულტურა, მშობლებისა და მოსწავლეების აქტიურობა სასკოლო ცხოვრებაში, რასაც ხელი შეუწყო USAID-ის საბაზისო პროექტის ფარგლებში ჩართულობამ. სასწავლო წლის დასაწყისში ყველა კლასისათვის იქმნება სადამრიგებლო პროგრამა და კლასგარეშე აქტივობები. შესაბამისად სასკოლო სასწავლო წლის კურიკულუმი იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე ორიენტირებულად ამ მონაცემებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
4.სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის მიხედვით და დიფერენცირებული მიდგომებით, სასკოლო საზოგადოების სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობით, სათანადოდ არის უზრუნველყოფილი სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატი ყველა დონეზე. მოსწავლეთა განვითარებისთვის სკოლაში არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფიზიკური გარემო, დაცულია უსაფრთხოება(როგორც ფიზიკური, ასევე სოციალურ-ემოციური). მრავალფეროვანი აქტივობები ეძღვნება ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას ასე მაგ. სკოლაში სწავლობს 13 ეთნოსის წარმომადგენელი. სახელმწიფო ენის დღე განსაკუთრებული დამოკიდებულებით აღინიშნა. მოსწავლეებმა მშობლიურ და ქართულ ენებზე დაწერეს მათთვის საინტერესო ფრაზები, ტექსტები, სიტყვები, ეს და სხვა მრავალი ინიციატივები წახალისებულია და მნიშვნელოვანი ფაქტორია შემდგომში სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. სკოლა გეგმავს სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში მოსწავლეებმა მეტად მიიღონ მონაწილეობა რაც სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდას გაზრდის

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლის უკუკავშირი;
- დიაგნოსტიკური ტესტი;
- მასწავლებლის ქეისი სსსმ მოსწავლეზე;
- მოსწავლის პორტფოლიო;
- მასწავლებლის პორთფოლიო
- სადამრიგებლო პროგრამა;
- კლასარეშე აქტივობის გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი
- კლასის დამრიგებლის პროგრამა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წლები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ.
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.**მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა გეგმავს იმუშავოს აღნიშნული დოკუმენტის საბოლოო ფორმულირებაზე , თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, ასევე, ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

რჩევა:სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურების დეტალურად გაწერა მეთოდოლოგიაში. აღნიშნულ დოკუმენტში მნიშვნელოვანია ჩანდეს, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებასა და მონიტორინგს? რა ინსტრუმენტებზე დაყრდნობით წარიმართება შეფასება და მონიტორინგი? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას - თუ რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. გაწერილია ,როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით,ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა აცხადებს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში?(მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი?(შეფასება). სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა - ანალიზზე დაფუძნებით ,რომელშიც ჩართული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წევრები.სკოლას აქვს სამომავლო ხედვა და მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1.სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

2. სკოლის თვითშეფასების ფორმა

3.მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის N2 სხდომის ოქმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; სკოლა ახორციელებს შეფასების სხვადასხვა ტიპებს: განმავითარე-ბელი და განმსაზღვრელი. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის პრობლე-მის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვა-ნია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობ-რი-ვი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდ-ნის გათვალისწინებით. ამის დასტურია კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მოსწავლეთა შფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**, წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით მათ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს როგორც სასკოლო ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად ხდება მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების ტიპები და კრიტერიუმები. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინე-ბუ-ლია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელ-დება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას მონაცემთა შეგროვებისათვის, მასწავლებლები მიმართავენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, კლასის საათზე მოსწავლეთა გამოკითხვას, მშობელთა კრებებზე პრობლემური საკითხების განხილვას, ხდება მონაცემების გაანალიზება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეაფსებას. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება. დაგეგმილია მოსწავლეებზე დაკვირვება და ამ დაკვირვების შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე მიღებული შედეგების გაანალიზებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებელად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (პროექტის მომზადება, ესეს დაწერა, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები გეგმავენ, შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე. სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას: საკლასო და საშინაო დავალები და შემაჯამებელი შეფასებები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ხორციელდება აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ..

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[x] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლის მიერ წარმოდგენილი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, ითვალისწინებს შიდა მონიტორინგის სისტემას, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპიან ციკლს (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე). განვითარების ეტაპის გულისხმობს ნაკლოვანებების მიზეზების განსაზღვრას და მათი აღმოფხვრისთვის რეკომენდაციების შემუშავებას.

როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დირექციის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე, მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, გაკვეთილზე დასწრების გზით. მათი მხრიდან მასწავლებლების მიმართ გაცემული განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რომელიც გავლენას ახდენს კურიკულუმის შემუშავების პროცესზე და გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის დონეზე. მასწავლებლები, კათედრების ფარგლებშიც, ესწრებიან და განიხილავენ ერთმანეთის გაკვეთილებს. აძლევენ ერთმანეთს განმავითარებელ უკუკავშირს, რომელიც ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერისთვის. სკოლაში, კათედრების დონეზე ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის დროსაც საგნობრივი ჯგუფების მიხედვით გაანალიზდება კურიკულუმის დანერგვის პროცესი და გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებაში მასწავლებელი შეიმუშავებს რეკომენდაციებს. მთლიანობაში, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, სკოლაში დამკვიდრებული, შეფასების სხვადასხვა პრაქტიკის ერთობლიობა წარმოადგენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

როგორც სკოლა თვითშეფასების ფორმაში მიუთითებს და ვიზიტის დროს აღინიშნა, ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. კათედრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში განიხილება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებები: კერძოდ, კომპლექსური დავალების შექმნის მიზნით დაგეგმილი აქტივობებიდან რომელმა გაამართლა/არ გაამართლა, რა იყო ამის მიზეზი. მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას წინა წლის კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს, მაგ: წარმატებული გამოცდილების მიხედვით არჩევენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. ს**კოლა აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;

2.დანართი N84 (სადიაგნოსტიკო შეფასებები);

3.დანართი N85 (სვოტ ანალიზი);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 07.11.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: